ახალი განათლება

29.03-05.04.2018

№11 (805) გაგრძელება 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



როცა მშობლიურ ენას რიგითი საგნის სტატუსიც ალარ გააჩნია

„აფხაზური ადმინისტრაცია სკოლაში დასაქმებული თითოეული ადამიანს მოუნოდებს, უარი თქვას ქართული მხარისგან, „სხვა სახელმწიფოსგან“ – საქართველოსგან“ განეული ყოველგვარ დახმარებაზე. უჩრებს „ანტიკონსტიტუციურ“ ქმედებაში ედებათ ბრალი და ისჯებიან.

თუ ვითარება არ შეიცვლება, ოკუპირებული გალის ომამდელ ტერიტორიაზე ბოლო ქართულენოვანი გამოშვება 2022 წელს დაასრულებს სწავლას.“ – ნონა შონია

გვერდი 4

თსუ – 100

ქართული ფილოლოგიის მეტრი

გვერდი 2

ისტორიული სოფელი

წიფურია – წარსული, რომლითაც ვამაყობ!

გვერდი 6

მასწავლებლის გვერდი

გარედამკვირვებელი გიყურებს შენ!

გვერდი 9

ამერიკის ელჩის კიდევ ერთი საჩუქარი ეროვნულ ბიბლიოთეკას

გვერდი 3

ხარისხი – ესტონური სკოლის მთავარი ორიენტირი

„მაფიოდ გამოხატული, რაც ესტონელი ბოლოგებისგან ვისწავლე, ეროვნებათა თანამშრომლობა და გაჯვეთილების მრავალფეროვნებაა. არც ერთ შემთხვევაში გაჯვეთილი მოსწავლისთვის მოსანყენი არ უნდა გახდეს. ინდივიდუალურ მუშაობასთან ერთად, მეტი ჯგუფური მუშაობა, რაც ხშირად ხმაურს ინვევს, მაგრამ ეს საგაჯვეთილო ხმაურია და ბავშვებისთვის ბიდევ უფრო სასიამოვნო და სახალისო ჰროცესი. ცოტა და ხარისხიანი – ეს ესტონეთის განათლების სისტემის მთავარი გზავნილია.“

ანა ბაბუნაშვილი

გვერდი 10

თსუ — 100

ქართული ფილოლოგიის მეტრი

1918 წელს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით უნივერსიტეტის დაარსება, სხვა გარემოებებთან ერთად, შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ უნივერსიტეტი ემყარებოდა კორნელი კეკელიძისდაგვარ მეცნიერებს. ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის მიერ იმ დროისთვის მოპოვებული მეცნიერული აღიარება დიდ ავტორიტეტს სძენდა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს. კორნელი კეკელიძის ბიოგრაფია განუყოფელია ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენიდან, რაც უნივერსიტეტის ისტორიას, მეცნიერებათა აკადემიის შექმნას, ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსებას და საერთოდ, ჩვენს საზოგადოებრივ, მეცნიერულ თუ ლიტერატურულ ცხოვრებას ახლდა.

დიდი მეცნიერის მიერ განვლილი გზის შესახებ საინტერესოდ საუბრობს უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ტაბიძე, წიგნში „მედალიონები“, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

„მოხუცებულობაში აბრეშუმისებრი სითეთრე ეწვია მის თმასა და წვერ-ულვაშს, ხოლო პერგამენტის გამჭვირვალება – პირისკანს. ასე მომხიბლავად ბერდებიან „სულმნათნი“.

აკაკი გაწერელია

ქვეყნის სამსახური ყველას გვმართებს. მთავარია ამის საფუძვლიანად გააზრება და საკუთარი შესაძლებლობების ზუსტად განსაზღვრა, ნიჭისა და ინტელექტის გონივრულად გამოყენება.

ვინ როგორ?

მავანი და მავანი საკუთარი ეზოს მიღმა ვერ იხედება, ზოგს კი თავისი ქვეყნის არეალიც ეპატარავება.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე (1879-1962წწ.) სწორედ ის მეცნიერი გახლდათ, რომელმაც ფართოდ გაშალა ფრთები და ქართული მწერლობის უღრმესი, უფაქიზესი ანალიზი მოგვცა, მისი საკაცობრიო მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით გააცნობიერა.

1912 წელს კ. კეკელიძის რედაქციით დაიბეჭდა „იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“ (რუსულ ენაზე), რომელმაც სენსაცია მოახდინა. საქმე ისაა, რომ ამ ძეგლში შემონახულია პალესტინის ისტორიის, კულტურის, სასულიერო ცხოვრების უცნობი სიტუაციები და დეტალები. მაშასადამე, ქართული ხელნაწერი რომ არა, მსოფლიოს დაეკარგებოდა არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ამიტომაც იყო, რომ „იერუსალიმის განჩინებას“ დადებითად გამოეხმაურნენ ა. დმიტრევსკი, ი. კარაბინი, პ. პეტერსი, ნ. მარი; ხოლო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კ. კეკელიძე მ. ახმატოვის სახელობის პრემიით დაჯილდოვა.

1918 წელს გამოსცა პირველი ტომი „კიმენის“ სახელწოდებით. ამ კრებულში შესული მასალების თვალსაჩინო ნაწილი ითარგმნა ლათინურ ენაზე. ხსენებული ფაქტი მეტყველებს წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე. 1946 წელს დაიბეჭდა „კიმენის“ მეორე ტომი. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა სხვა ტომების გამოცემა.

დიდია კ. კეკელიძის წვლილი ბერძნულ-ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლის საქმეში. მან ნათელყო ჩვენი წინაპრების როლი მსოფლიო ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. თვალი გადავავლოთ თუნდაც იმ გამოკვლევას, რომელშიც განხილულია „ცხოვრება და მოქალაქეობა ტიმოთე ანტიოქელისა“; გავიხსენოთ კ. კეკელიძის ეტიუდი „ექვთიმე ათონელის ორიგინალური შრომა“ ან თუნდაც „ბალავარიანის რომანი ქართულ მწერლობაში“. მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ეს ძეგლი ექვთიმე ათონელს ქართულიდან უთარგმნია ბერძნულად. ამით კიდევ ერთხელ გაიხაზა ჩვენი მწერლობის საკაცობრიო მნიშვნელობა. აშკარაა, რომ კ. კეკელიძე უმაღლესი რანგის, მსოფლიო დონის მკვლევარია, რომელმაც ბევრი რამ შესძინა ევროპულ მეცნიერებას.

კიდევ უფრო დიდია კ. კეკელიძის ღვაწლი სამამულო მწერლობის შესწავლის საქმეში. ამიტომაც უწოდებენ მას ქართული ფილოლოგიის პატრიარქს.

ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ საკითხებზე არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მოგვეპოვებოდა, მაგრამ არ გვქონდა თუნდაც რჩეული ძეგლების მთლიანობაში გაგაზრებული, სწორი მეთოდოლოგიით დაწერილი ისტორია. და აი, 1923 წელს გამოვიდა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი, ხოლო 1924 წელს მეორე ტომი. ეს იყო არათუ წინგადადგმული ნაბიჯი, არამედ უდიდესი ნახტომი. ერთმა კაცმა თაობათა ტვირთი აზიდა და დროსაც გაუსწრო. კ. კეკელიძე პირველია, რომელმაც დიდი ადგილი დაუთმო ძველი ქართული მწერლობის პერიოდიზაციას. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩარჩოების მოხაზვა როდია არსებითი, არამედ კლასიფიკაციის სწორი საყრდენის პოვნა და ლიტერატურის გააზრება-განხილვა სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებასთან მიმართებაში. ყოველივე ეს, როგორც სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, უმაღლეს დონეზე არის შესრულებული.

კ. კეკელიძის თვალსაწიერი ფართოა. იგი აანალიზებს ფილკლორისტიკის პრობლემებს. უღრმავდება XIX საუკუნის სამამულო მწერლობას და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ასეთი მრავალმხრივი ინტერესების მქონე მკვლევარი სამამულო ჰუმანიტარულ მეცნიერებას არ ჰყოლია.

* * *

შეიძლებოდა, აქ დამესვა წერტილი, მაგრამ კალამი გამირბის, თავს ნებას ვაძლევ, კორნელი კეკელიძე სხვა კუთხითაც დავანახო მკითხველს, უფრო ზუსტად, მისი პიროვნული ხიბლი რამდენადმე მაინც წარმოვაჩინო.

ამ მიზნით, ნანახს და განცდილს გავუხსნი კალაპოტს. მოგონებებს ერთი უხერხულობა ახლავს – საკუთარ თავზე გვიწევს საუბარი და, არცთუ იშვიათად, გვიჭირს ოქროს კვეთის პოვნა, და, მაინც:

ბატონ კორნელისთან ახლო ურთიერთობა მქონდა.

პირველი მკაფიო შთაბეჭდილება ბავშვობისდროინდელია. დედამ ბიჭები – მე და ჩემი უფროსი ძმა ანასტასიევის (ახლანდელი ახვლედიანის) ქუჩაზე მიგვიყვანა. ბატონი კორნელი გულღიად შეგვხვდა. იმდენად უშუალო და ღიმილიანი იყო, მინდოდა, მუხლებზე ავცოცებოდი. გვიამბობდა იმპროვიზირებულ ამბავს ვიღაც პიღასისა და მისი კატის შესახებ. მერე კიროვის ბაღში წაგვიყვანა და ჩვენთან ერთად სურათი გადაიღო.

ეს სითბო, უმთავრესად, იმით იყო გამოწვეული, რომ გამორჩეულად უყვარდა თავისი უფროსი დისწული – დედაჩემი. ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში, მაღალ თაროზე, გამოცალკავებულია კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომი, 1924 წლის გამოცემა, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს:

„ნაკვთად კარგსა, შავგვრემანსა,
პირმსუქანსა, არ პირხმელსა,
მარად მორცხვსა ტატიასა,
ბიძისაგან“.

მერე სკოლა, უნივერსიტეტი, ასპირანტურა...

ვიდრე ქალბატონი მინადორა (ბატონ კორნელის მეუღლე) ცოცხალი იყო, ზუსტად ვიცავდი განაწესს; კვირაში ორჯერ აუცილებლად უნდა ვსტუმრებოდი.

ჩემს მეხსიერებას ბევრი რამ შემორჩა, მაგრამ უპირატესობა, მაინც, დღიურებს უნდა მივანიჭო.

ერთხელ კიდევ გადავიკითხე ჩანაწერები და დავრწმუნდი, რომ ბევრი რამ საგულისხმო ჩამინიშნავს. ეს, უწინარესად, ითქმის თანამშრომელთა და ნაცნობთა კორნელისეულ დახასიათებებზე. ჩანს შეგნებულად ვუსვამდი კითხვებს და საპასუხოდ ვიწვევდი.

მაშ ასე, ისეთ დეტალებზე შევჩერდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბატონი კორნელის ფენომენის გახსნას (იქნებ, უმჯობესი იყოს, ვთქვათ – მეცნიერის კლასიკური ტიპის წარმოჩენას).

კორნელი კეკელიძე უნიჭიერესი პიროვნება ბრძანდებოდა. მოგეხსენებათ, ნიჭი არის შესაძლებლობათა უნარი, უფრო ზუსტად, მოცემულობათა ადვილად დაუფლების უნარი. ტერმინს „დაუფლება“ ფართო გაგებით ვხმარობთ. მასში მოიაზრება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ქმედებაც. ჩანს, მის წინაპრებს ნამდვილად ჰქონდათ ვითარებათა სწრაფად გააზრებისა და მოვლენათა არსში ადვილად წვდომის იმპულსები (გენების უარყოფა არ შეიძლება). მაგრამ ეს მონაცემები ჩანასახის ფორმაშივე დარჩებოდა, ბატონ კორნელის სასურველი მიმართულებით რომ არ გამოეკვეთა და არ გაემახვილებინა ისინი უდიდესი და სისტემატური შრომის საფუძველზე.

მახსენდება ერთი დიდი მწერლის გამონათქვამი: ნიჭი ეს არის ცხრა მეათედი შრომა. კ. კეკელიძე გამოირჩეოდა არა მხოლოდ სპეციალური ნიჭით, არამედ ზოგადი გონიერებითაც. სწორედ ამან განსაზღვრა მისი უჩვეულო წინსვლა. თანაც ამ გონიერებას იჩენდა არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ სფეროშიც. მას შეეძლო ახალ პირობებთან შეგუება, ოსტატურად ლავირება. გავიხსენოთ უნივერსიტეტში დატრიალებული ბატალიები, თუნდაც წითელი პროფესურის გამოყოფისა და „ჭაობში მყოფთა“ განქიქების პერიოდი.

ვფურცლავ დღიურს. 1960 წლის 15 ნოემბერი. „ბატონი კორნელი შეუძლოდ გრძნობს თავს. სტუმრებთან გამოსვლას ეკრძალვის. მინდა, განწყობილება ავუმაღლო და უნივერსიტეტის ამბებს ვუამბობ, თანაც ცალკეულ ფაქტებს იუმორისტულად ვაფერადებ. თითქოს გულისყურით მისმენს და უცბად...

„– ეჰ, ჩემით იწყება კეკელიძეების გვარის აღზევება და ალბათ... ფრაზა არ დაუმთავრებია, მაგრამ ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ რას გულისხმობს (დაცემა)“.

კ. კეკელიძემ კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი და ისიც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სიმაღლეების დაპყრობა ჰაიჰარად შეუძლებელია.

ახლა ერთ მეტად მტკივნეულ და უფაქიზეს საკითხზე: არ მახსოვს, რომ კეკელიძეების ოჯახში ალექსი ეხსენებინოთ. დუმდა მამა და სხვებიც ასე იქცეოდნენ. ალექსი ბატონი კორნელის უფროსი ვაჟი გახლდათ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძოდა და 1924 წლის აჯანყების პერიოდში დაიღუპა. დავესესხები მის ბიძაშვილს, ცნობილ მწერალს მიხეილ კეკელიძეს: ხშირად მოდიოდა ჩვენთან. უმცროსი ვიყავი და მწვრთნიდა კიდეც. კარგად მახსოვს 1924 წლის აგვისტო. გამომიარა და თავისთან წამიყვანა. შინ არავინ იყო. ბიძია კორნელი სოფელ ქემერთში ისვენებდა. ალექსის საკუთარი ოთახი ჰქონდა. გამოაღო კამოდის უჯრა და გავოგნდი – სავსე იყო რევოლვერებითა და ტყვიებით. ვთხოვე, ერთი მომეცი მეთქი. ჯერ ადრეაო – მითხრა, თუ არ ვცდები, თვის მიწურულს მის ოთახში თავი მოიყარეს შეთქმულებმა. ვიღაცამ გასცა და კარები შეუმტვრიეს. ალექსი საწვიმარ მილს ჩამოჰყვა, მაგრამ მაინც ვერ დააღწია თავი მდევარს, შეიპყრეს და საკანში დახვრიტეს.

ახლო ნათესავებისა და დედაჩემისგანაც მსმენია – უნიჭიერესი კაცი იყოო, მამის საქმის გამგრძელებლად ვთვლიდით ყველაო.

მხოლოდ ბოლო ხანებში ალაპარაკდნენ მასზე. ბატონმა კოტემ (კორნელის ვაჟი) გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე საგანგებოდ მიმიყვანა ჭავჭავაძის პროსპექტზე, იმ შენობასთან, სადაც ადრე სასულიერო სემინარია იყო, შემდეგ კი – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. რკინის ღობეს ჩაავლო ხელი და თქვა: „აი, აქ შეიპყრეს ჩემი ძმა“.

რატომ დუმდნენ?

რა თქმა უნდა, ერიდებოდნენ ჭრილობის პირის შეხსნას, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო – უმკაცრესი ატმოსფერო და დასჯის შიში. საკმარისია, თვალი გადაავლო 1924 წლის პრესას, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს. აი, როგორი მასალები იბეჭდებოდა: „სიკვდილი მენშევიკებსა და ბანდიტებს“, „აღმოვფხვრათ შეუფერხებლად“, „აღვგაოთ პირისაგან მიწისა“, „შებრალება არ იქნება“...

გაზეთ „კომუნისტის“ 23 სექტემბრის ნომერში დაისტამბა საქართველოს ხელოვანთა განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: *„ავანტურისტული გამოსვლები მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, საფრთხეში აგდებენ კულტურული მუშაობის მიღწევებსა და ემუქრებიან მის განვითარებას“.*

ახლა, არ იკითხავთ ვის მიეწერება ეს სიტყვები? – ა. აბაშელს, დ. არაყიშვილს, გ. გაბაშვილს, ი. გრიშაშვილს, შ. დადიანს, ვ. კოტეტიშვილს, ი. ნიკოლაძეს და სხვებს. სიის თავში კოტე მაყაშვილის სახელი ფიქსირდება, იმ მწერლისა და ნაღდი პატრიოტისა, რომლის ქალიშვილი, სწორედ, დამპყრობ ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაეცა კოჯორთან 1921 წლის სისხლიან თებერვალში.

ორი კვირით ადრე უნივერსიტეტის თანამშრომელთა დეკლარაცია გამოქვეყნდა: *„უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად“.* ხელს აწერენ: ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ბერიტაშვილი, ალ. ჯანელიძე, გ. ჩუბინაშვილი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. კიდევ კარგი, კ. კეკელიძეს რომ არ მოსთხოვეს ხელის მოწერა. ან იქნებ მოს-

სიმონ ჯანაშია, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ლ. მელქისედბეგი, ქსენია სიხარულიძე, შოთა ძიძიგური, ვარლამ თოფურია, ილია აბულაძე
ფოტო გადაღებულია თბილისში, მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, კონფერენციის ჩატარების შემდეგ. 1945

ᲗᲚᲣ — 100

თხოვეს კიდეც...

ორივე დოკუმენტი ცეკას ბრძანებითა და მითითებით არის დაწერილი. ძალა აღმართს ხნავს, თორემ ხელმომწერთა დიდი ნაწილი სულ სხვაგვარად ფიქრობდა.

...სვეგამწარებული მამაც გულში იკლავდა დარდს. კორნელი კეკელიძეს ღრმად სნამდა, რომ მისი სიცოცხლე ერს ეკუთვნოდა და თავს უნდა გაფრთხილებოდა. და, მაინც, გაოცებული ვარ ბატონი კორნელის სტოიციზმით. დიდხანს მაწვალებდა სურვილი ალექსის პორტრეტის შექმნისა. სამწუხაროდ, თავის დროზე ვერ შევაგროვე მასალები. ისიც საკითხავია, იქნებოდნენ კი გულახდილნი რესპონდენტები? ახლა უკვე გვიანაა. არავინ დარჩა იმათგან, რომელთაც შეეძლოთ ხელი გაემართათ ჩემთვის. არადა, ასეთი პიროვნებების დავიწყება არ ეგების. მათი სახელები დროშასავით უნდა ფრიალებდეს.

* * *

ბატონი კორნელი გამოირჩეოდა ზღაპრული შრომისმოყვარეობით. რა დროსაც არ უნდა სტუმრებოდით, ყოველთვის საქმეში იყო ჩაფლული. უჯდა უზარმაზარ მაგიდას და კითხულობდა ან წერდა.

სხვაგვარად ვერ შეიქმნებოდა „ძველი ქართული ლიტერატურის“ ორი უზარმაზარი ტომი (თითოეულის მოცულობა 50 თაბახს აჭარბებს) და „ეტიუდების“ 14 წიგნი. სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო ღრმა კვალის გავლება მთარგმნელობითს და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობაში.

კ. კეკელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. ხუთი წელი იყო პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო განხრით. ათი წელი თავკაცობდა ფილოლოგიის ფაკულტეტს. დღიდან დაარსებისა უცვლელი გამგე გახლდათ ძველი ქართული ლიტერატურის კათედრისა. კ. კეკელიძე საქართველოს მეცნერებათა აკადემიის დამფუძნებელი და ნამდვილი წევრია. ერთხანს უძღვებოდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. არაფერს ვამბობ ასპირანტების მომზადებასა და მრავალ საზოგადოებრივ დატვირთვაზე.

დაძაბული შრომა ბუნებრივად ბადებს საქმიანობის ფორმათა მონაცვლეობის აუცილებლობას. როგორ ახერხებდა ამას ბატონი კორნელი? ეს საგანგებო კვლევის საგანია. ერთი კი აშკარაა: უფრორე მხატვრულ ლიტერატურაზე გადაირთვებოდა. ამ დროსაც მასში მჩხრეკელი და კრიტიკოსი მძლავრობდა.

გონებაში ჩამებეჭდა შენიშვნები, რომლებიც შალვა დადიანის „გვირგვილიანების ოჯახზე“ გამოთქვა. მაშინ, ოქროყანაში ისვენებდა. ახალი წაკითხული ჰქონდა ეს წიგნი და საკმაოდ მკაცრიც იყო.

ისიც მახსოვს, თუ როგორი აღტაცებით საუბრობდა კ. გამსახურდიაზე. მაღალ შეფასებას აძლევდა „დავით აღმაშენებელს“, თუმცა არ იზიარებდა ზოგიერთი ფაქტის მწერლისეულ ინტერპრეტაციას, მაგალითად, რატომ უნდა წაეკითხა დავითს არისტოტელე არაბულ თარგმანში და არა ბერძნულად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაშინ ქართული თარგმანიც არსებობდაო. ანდა: შეუძლებელია, კონსტანტინეპოლში ელჩად გაეგზავნათ ისეთი გაუნათლებელი, თითქმის ველური კაცი, როგორც ეს რომანშიაო.

მანქანით გასეირნება უყვარდა. შერჩეული ჰქონდა ადგილი. ზაჰესის მახლობლად გზის პირას დიდი ვერხვის ქვეშ გრძელი მერხი იდგა. ჩამოჯდებოდა და გაირინდებოდა, ვინ იცის, რას დასტრიალებდა მისი ფიქრი. აქ ხომ სამი კულტურის თავშესაყარია. დაახლოებით ნახევარ საათს დაჰყოფდა და...

– აბა, ოთარ, შინისაკენ – ეტყოდა მძღოლს.

ერთხანს აბაზანაში ფერადი თევზები გაუშვა. დროდადრო სკამის სახელურს დაეყრდნობოდა და მათი სრიალით ტკბებოდა. ესეც განტვირთვის საშუალება იყო.

დიახ, არ კმარა, გიყვარდეს შრომა. აუცილებელია შრომისა და დასვენების კულტურაც გქონდეს. მაშინ უკეთ მიიღწევა მიზანი.

ბოლო ხანებში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა უნივერსიტეტსა და აკადემიაში, მაგრამ ბრწყინვალედ იცოდა, რა ხდებოდა ამ დაწესებულებებში, ქალაქში, რესპუბლიკაში. პიროვნებათა ინტიმური ცხოვრებითაც ინტერესდებოდა. სხვათა შორის, უპირველესი ინფორმატორი ქალბატონი კატუშა (ეკა) კეკელიძე იყო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, ცნობას უკრიტიკოდ არასოდეს იღებდა. მისი დიდი ანალიტიკური ნიჭი აქაც მჟღავნდებოდა. სწრაფად აჯგუფებდა მონაცემებს, აანალიზებდა და უტყუარი დასკვნები გამოჰქონდა.

მეორე განმსაზღვრელი შტრიხი ბატონი კორნელის ფენომენის – სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული და სილაღე.

საგულისხმოა, რომ ჩემთვის ნაჩუქარ თითქმის ყველა წიგნს ასეთი ხელრთვა აქვს: „ბიძიასაგან: კ. კ.“ მხოლოდ ერთგან წერია: „მოსიყვარულე ბაბუასაგან“; შემთხვევითია? არამც და არამც. ეს არის სულის ახალგაზრდობის ხაზგასმა. ეს არის სიმხნევისა და სიძლიერისაკენ ლტოლვა. ეს არის სამყაროს აღქმა არა ამა ქვეყნიდან მიმავალი კაცისა, არამედ ახალი ნახტომისათვის გამზადებული მეცნიერისა.

ყური მოვკარი – კუშტიაო. არამც და არამც. შეიძლება, პაექრობისას გამეხებული და მოქუშული ყოფილიყო. ამას, ალბათ, საქმე მოითხოვდა. მაგრამ ყოფაში უჩვეულოდ ლაღი და კისკასი ბრძანდებოდა.

ეს, უწინარესად, მასპინძლობაში მჟღავნდებოდა. ამ მხრივ სრულად ავლენდა იმერის ბუნებას. რაგინდ დიდი საქმეც უნდა ჰქონოდა, გვერდზე გადადებდა, მოსულს თავს შემოევლებოდა. ზოგიერთისთვის სტუმრის პატივისცემა ტრადიციის დაცვაა, ბატონი კორნელისათვის კი იგი ზეიმი იყო. სხვასაც ახალისებდა და თავადაც მაღლდებოდა.

* * *

დაუვიწყარი იყო ახალი წლის ტრადიციული ზეიმი. მეორე დღეს მთელი ნათესაობა პლეხანოვის 104-ში ვიკრიბებოდით: ვაჟები – კოტე და ილია, რძლები – თამარი და ლიდა, ძმები – სევერიანე და აკაკი... აქ იყო უდროოდ დაღუპული ანდროს მეუღლეც... ლაღობას ბატონი კორნელი აძლევდა ტონს. ულამაზესი სადღეგრძელოები, ზმები, გახსენება მომხიბვლელი ეპიზოდების. ზოგჯერ ტაბუდადებული ამბებიც ცოცხლდებოდა.

კვლავ ჩემს დღიურს გადავფურცლავ (1961 წლის 13 ნოემბერი):

– ასე კარგად არასდროს ვყოფილვარ. გუშინწინ აკაკიმ თავის მზახალთან – ანგია ბოჭორიშვილთან წამიყვანა. უბრწყინვალესი ღვინო ჰქონდა, შინ დაყენებული. სამი ჭიქა გადავკარი, პირდაპირ მომნათლა.

– სამი ჭიქა თუ ნახევარი ბოთლი – ღიმილით შეეპაექრა დიასახლისი, ქალბატონი მანია (ქალბატონი მინადორას და).

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ მომიხდა. გუშინ კიდევ ვანიჩქა კეკელიძე მესტუმრა. ალადასტური მომიტანა და სადილად გეახელით. წამალივით მარგო.

– აბა, ერთი წნევის აპარატს ჰკითხე – იცინის ქალბატონი მანია.

– აპარატი თავისთვის იყოს, ჩვენ კი ჩვენთვის. მთავარი ისაა, რომ თავს კარგად ვგრძნობ“.

შემდეგი შტრიხი: იუმორის ნაღდი გრძნობა, არცთუ იშვიათად საკუთარ თავზე ამაღლება.

ამონარიდი დღიურიდან:

„ვისადილეთ (ღვინოც გადავკარით) და კაბინეტში გავედით. ბატონი კორნელი სოფლის ამბებს იხსენებს.

გრიგოლ კეკელიძე ლამაზი, მოდგლეშილი ბიჭი იყო. მაგრამ რად გინდა... მიწების გამო მატრონე ჯოგლიძე შეირთო. ჩვენში ჯოგლიძე ითვლებოდა ყველაზე ათვალისწინებულ გვარად, მერე სანიკიძე, შემდეგ ჯულაყიძე. ეს კიდევ არაფერი. იოსებ კეკელიძემ სანიკიძის ქალი მოიყვანა, უფრო მახინჯი, ვიდრე მატრონა იყო. ჰოდა აბუზღუნდნენ სახლიკაცები.

ეს იოსებიც შეუდარებელი ვაჟკაცი გახლდათ, ალვის ხესავით მაღალი, ბრგე... როდესაც ბებიაშენი გათხოვდა, იოსები მაყრად გაჰყვა. სვეს, იქეიფეს ერთი დღე, მეორე დღე და წამოვიდნენ. ქეიფის დროს იოსები ერთ სანიკიძეს წალაპარაკებია. ეს სანიკიძეც არ იყო ჯაბანი. განთქმულ მოჭიდავედ და მოჩხუბრად ითვლებოდა. და, აი, ჭიშკართან კვლავ შეეჯახენ ერთმანეთს მოქიშპეები. ატყდა ალიაქოთი. შეიცხადა ბებიაშენმა – ეს სანიკიძე მოკლავს იოსებსო. მაგრამ ნურას უკაცრავად, გადაუჭირა და გადაუჭირა იოსებმა მათრახი. დაგრიხა კაცი. მერე ჩამოხტა ცხენიდან და ფეხით შედგა.

ამ ამბავს რომ ჰყვება, თვალები უცნაურად უელავს, ეშხში შედის, თითქოს სისხლს ხედავს და შმაგდება.

– ეს ორი კაცი – იოსები და გრიგოლი ნაღდი ვაჟკაცები იყვნენ. არც მე ვარ ნაკლები, მაგრამ თავს ხომ არ შევიქებ. ეს თქვენ უნდა თქვათ.

იგი ხმამაღლა იცინის“.

ჭეშმარიტად! ჩვენ კი არა, მთელი საქართველო ხმამაღლა ამბობს: კორნელი კეკელიძე ქართული ფილოლოგიის მეტრია, უებრო ვაჟკაცი და ფალავანი!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡ

ᲛᲐᲙᲐ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ

21 მარტს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **იან კელი** მეუღლესთან, **ფრანჩესკა კელისთან** ერთად, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ეწვია. ელჩმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის ფონდს საჩუქრად ამერიკის „წიგნის ეროვნული ჯილდოს“ (The National Book Award) მფლობელი ამერიკელი ქალი ავტორების 97 წიგნი გადასცა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის „წიგნის ეროვნული ჯილდო“ 1936 წელს დაარსდა, წიგნის გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისევ განახლდა. პრემია წელიწადში ერთ ავტორს გადაეცემა, შემდეგ კატეგორიებში: მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო ლიტერატურა, პოეზია და საყმაწვილო ლიტერატურა. ამავე დროს, პრემიას ორი ჯილდოც აქვს: „მედალი ამერიკის მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ და „ლიტერატურული პრემია ამერიკის ლიტერატურული საზოგადოების განსაკუთრებული დახმარებისთვის“.

ღონისძიებაზე ელჩმა განაცხადა, რომ ქართველი მკითხველისთვის მნიშვნელოვანი საჩუქარი ქალთა თვეს მიუძღვნა. ეს ბიბლიოთეკისთვის ელჩის და მისი მეუღლის პირადი, სამახსოვრო საჩუქარია. *„მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს და კონკრეტულად ამ ბიბლიოთეკას, რომელსაც, კიდევ ერთხელ, საჩუქრად გადავეცით წიგნები. მარტი ქალთა თვეა და სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ქალი ავტორები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მოღვაწეობდნენ. ამით, კიდევ ერთხელ, გავუსვი ხაზი თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ ქალებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“* – აღნიშნა იან კელიმ.

იმავე დღეს, ამერიკის ელჩი ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობართა კლუბში გაწევრიანდა. ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, **გიორგი კეკელიძემ**, წლების განმავლობაში გაწეული თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, ელჩს მადლობა გადაუხადა და საჩუქრად ეროვნული ბიბლიოთეკის ვერცხლის მედალიონი გადასცა. აღსანიშნავია, რომ ვერცხლის მედალიონი მხოლოდ მეგობართა კლუბის წევრებს გადაეცემათ. *„წლებია ეროვნული ბიბლიოთეკა და ამერიკის საელჩო ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ და ეს დარბაზიც ამის ერთგვარი შედეგია. სასიამოვნოა, რომ ბატონმა იან კელიმ თავისი ერთ-ერთი გამოსამშვიდობებელი დღე, მეუღლესთან ერთად, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაატარა. მან ამერიკელი ქალი ავტორების ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი კოლექცია გადმოგვცა და რეალურად კიდევ უფრო საინტერესო გახადა ჩვენი დარბაზი.“* – განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზს, რამდენიმე თვის წინ, ამერიკის ელჩმა საჩუქრად გადასცა, ასევე, 1000-ზე მეტი ძვირადღირებული წიგნი (ენციკლოპედიები, თანამედროვე ამერიკული პოეზიის სრული კრებული, წიგნები ხელოვნებისა და კულტურის შესახებ და სამაგიდე თამაშები). უფრო ადრე, 2014 წელს, ანგლო-ამერიკული დარბაზის წიგნად ფონდს, ამერიკის საელჩოს დახმარებით, შეემატა პულიცერის პრემიის ლაურეატთა კოლექცია – 137 ცნობილი ავტორის წიგნი.

მაია სიმონიშვილი, მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი, მთავარი სპეციალისტი: *„საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ანგლო-ამერიკული დარბაზის სახელით, მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო აშშ-ს ელჩს საქართველოში, ბატონ იან კელისა და მის მეუღლეს, ფრანჩესკას, რომლებმაც ჩვენი მკითხველებისთვის ასეთი ძვირფასი საჩუქარი გადმოგვცეს. მოგეხსენებათ, მარტი ამერიკაში ქალთა თვედ ითვლება, ქალთა პრობლემები ჩვენს ქვეყანაშიც კარგად ცნობილია და ეს წიგნები მით უფრო მნიშვნელოვანია. ამ ავტორებს შორის, ზოგი ემიგრანტია, ზოგი საკუთარ ისტორიას მოგვითხრობს, ზოგი სამეცნიერო მიღწევებს გვიზიარებს. ამერიკის უდიდესი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი ქალი ავტორების თითოეული წიგნი ერთგვარი სტიმულია მათი ქართველი მკითხველებისთვის, მათ შორის, ქალებისთვის, რომ თვითონაც შექმნან რაიმე ახალი და საინტერესო როგორც თავიანთ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებისთვისაც.*

რამდენიმე თვის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ კიდევ ერთი დიდი საჩუქარი გადმოგვცა, 87000 დოლარის ღირებულების უახლესი გამოცემები როგორც პროფესიული დარგების მიხედვით, ისე მხატვრული ლიტერატურაც. ეს წიგნებიც მნიშვნელოვანი დახმარებაა მათთვის, ვისაც მოსწონს განვითარებული ქვეყნების მიღწევები და აინტერესებს, თუ როგორი იყო განვითარების პროცესი, რა შეიძლება მათგან ვისწავლოთ და სამომავლოდ ჩვენც შევთავაზოთ. ასე რომ, ჩვენი დარბაზი მკითხველებს განახლებული ლიტერატურით ელის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონ ელჩსა და საელჩოს წარმომადგენლებს აქტიური და საინტერესო თანამშრომლობისთვის“.

ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზში განთავსებული ახალი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩსა და საელჩოს წარმომადგენლებს წლების მანძილზე საინტერესო და აქტიური თანამშრომლობისთვის. მოგეხსენებათ, იან კელი, უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, სულ მალე, დატოვებს საქართველოს. მისი კიდევ ერთი საჩუქარი კი ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკულ დარბაზს სამახსოვროდ დარჩება.

საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში

როცა მშობლიურ ენას რიგითი საგნის სტატუსიც ალარ გააჩნია

მაკა ყიფშიანი

სიტყვები „გახსოვდეს აფხაზეთი!“, უკვე კარგა ხანია, ბანალურად ჟღერს. სამწუხაროდ, ამ თემაზე ახალს ვერაფერს დავწერ, რადგან ახალი არაფერია. უბრალოდ, რაც უფრო ახლოს ეცნობი აფხაზეთში დარჩენილი ქართველების ყოფა-ცხოვრებას, დღევანდელობას, ისმენ მათ ისტორიებს, ნაამბობსა და გაგონილს, ხვდები, რომ მათგან ძალიან შორს ხარ. ფაქტი ერთია, დრო არ აშუშებს ჭრილობებს, ის უფრო მეტად გვაშორებს აფხაზეთთან. ერთადერთი იმედი სასწაულია და ამ სასწაულის მოლოდინში, ერთ დროს, საქართველოს ულამაზეს მხარეში – აფხაზეთში, ყველაფერი ქართული ნელ-ნელა უკვალოდ ქრება. ახალს და საიმედოს ვერაფერს დავწერ... უბრალოდ, მინდა, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი იქ შექმნილ ვითარებას.

აფხაზური ადმინისტრაციის განათლების პოლიტიკა, გალის რაიონის ტერიტორიაზე, ქართული ენის განდევნასა და მისი რუსულით სრულად ჩანაცვლებას ემსახურება. წლებია, გალის რაიონის სკოლებში იკრძალება ქართული სახელმძღვანელოების გამოყენება. სასწავლო პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობს. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შელახვასთან ერთად, სწავლების რუსულ ენაზე იძულებით გადაყვანა უარყოფითად ისახება გალის რაიონში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხზე. იქაურ მასწავლებელთა და მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის რუსული ენა უცხოა და მასზე სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენთან საუბარში სწორედ ამას ადასტურებს გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ნონა შონია:** *„სამწუხაროდ, აფხაზური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ქართულ ენაზე მოაზროვნე ბავშვები პირდაპირ გადაიყვანეს რუსულენოვან სწავლებაზე. აქ განათლების ხარისხზე საუბარი ზედმეტია. მათთვის (რუსები, აფხაზები) მთავარია, ქართველებმა რუსულად იმეტყველონ.*

თუ ვითარება არ შეიცვლება, ოკუპირებული გალის ომამდელ ტერიტორიაზე, ბოლო ქართულენოვანი გამოშვება 2022 წელს დაასრულებს სწავლას. ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა, რომლის შეცვლა, სამწუხაროდ, ჩვენს ძალებს აღემატება. თუმცა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ყველაფერს აკეთებს შერიგებისთვის, ქართული ენის და, ამავე დროს, აფხაზური ენის დაცვა-განვითარებისთვის. ჩვენ ვამბობთ სათქმელს, ვუწვდით შერიგების ხელს, მთავარია მათ სწორად გაიგონ.

გალის რაიონის სკოლებში დომინანტი რუსული ენაა. მასთან შედარებით, მცირეა აფხაზურის, ასევე, უცხოური ენების საათებიც. ნაწილში ქართული ენა საერთოდ აღარ ისწავლება, ნაწილში კი თითო საათამდეა შემცირებული. აფხაზეთში დღეს ხდება ის, რაც თავის დროზე, მე-19 საუკუნის შუახანებში, ვერ მოახერხა მეფის რუსეთმა, რომელსაც სამურზაყანოს ტერიტორიაზე მიზანმიმართულად გახსნილ პირველ საგანმანათლებლო კერებში, ერთკლასიან და ცოტა მოგვიანებით, ორკლასიან სკოლებში, სასულიერო მოძღვრების, კატეხიზმოს, არითმეტიკის თუ სხვა საგნების მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლებით უნდოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მშობლიური ენა, კილო-კავებიც კი დაევიწყებინა. მაშინ ეს ვერ შეძლო მეფის რუსეთმა. სკოლებში დაუშვა ქართული ენის სწავლება და იგი გამოიყენა რუსული ენის შესასწავლად. სამწუხაროდ, დღეს, გალის რაიონის ომამდელი საზღვრების ტერიტორიაზე, არათუ ქართული სკოლა, მალე ქართული კლასიც კი აღარ იარსებებს, ეს მწარე რეალობაა“.

შეგახსენებთ, რომ 1992-1993 წლებში, სამხედრო მოქმედებამდე, გალის რაიონის ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, 13180-ზე მეტი მოსწავლით, 1800-მდე მასწავლებლით და ტექნიკური პერსონალით. მუშაობდა 76 სკოლამდელი დაწესებულება, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სახელოვნებო სტუდიები, ბიბლიოთეკები და სხვა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. სამწუხაროდ, დატრიალებული ტრაგედიის შედეგად, ისევე, როგორც აფხაზეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე, გალის რაიონშიც მთლიანად მოიშალა საგანმანათლებლო სისტემა: დაიწვა 19 სკოლა, დაინგრა საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი დაწესებულებები, მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, წარმოება-დაწესებულებები, განადგურდა სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა. დაწვას გადარჩენილი სკოლებისა და საბავშვო ბაღების მნიშვნელოვანი ნაწილი ისე გაიძარცვა, აღდგენა შეუძლებელია. სოფლები დღემდე დაცლილია მოსახლეობისგან, ბევრი ადგილი ტყით არის დაფარული.

ომის შემდგომ, 1994 წლიდან, სპონტანურად დაბრუნებულმა მოსახლეობამ (მასწავლებლებმა, მშობლების მხარდაჭერით) 31 სკოლაში მოახერხა სასწავლო პროცესის აღდგენა. დღეის მდგომარეობით, გალის რაიონის ომამდელ ტერიტორიაზე, 58 სკოლიდან, მუშაობს 30.

2017-18 სასწავლო წლის დასაწყისში, მეცადინეობას შეუდგა 31 სკოლა 4363 მოსწავლით. სამწუხაროდ, აფხაზური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ამ სასწავლო წლის პირველი ნახევრის ბოლოს, მოსწავლეთა მცირე კონტინგენტის მიზეზით, დაიხურა ერთი საბაზო სკოლა, რომლის მოსწავლეები და მასწავლებლები გადანაწილდნენ ახლომდებარე სკოლებში. ამჯერად, 30 სკოლაში სწავლობს 4286 მოსწავლე, რაც გასულ სასწავლო წელთან შედარებით 70 მოსწავლით ნაკლებია. მშობლები ვერ ეგუებიან სკოლების რუსულენოვან სწავლებაზე მიზანმიმართულ გადასვლას, უკვე მერამდენედ ტოვებენ მშობლიურ კუთხეს, საცხოვრებელ სახლებს და შვილებს სწავლას საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართულ საჯარო სკოლაში აგრძელებინებენ.

ნონა შონია: *„აფხაზურმა ადმინისტრაციამ ხელოვნურად დააქუცმაცა გალის რაიონი. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვარჩელის რაიონს გადაეცა, ნაწილი – ოჩამჩირეს. თვით გალის რაიონი „ზედა და ქვედა ზონებად“ გადანაწილდა. გალის „ზედა ზონის“ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვა 1994-1995 წლებში, რუსული პირველი კლასების გახსნის პრინციპით დაიწყო და ეტაპობრივად, ქართული კლასების განდევნით, ქართული სკოლები რუსულ სკოლებად ჩამოყალიბდა. ამ ზონის სკოლებში ქართულ ენას რიგითი უცხო ენის საგნის სტატუსი მიენიჭა და აფხაზური სასწავლო გეგმით თითოეულ კლასში თითო საათიღა დაეთმო (1 – ენას, 1 – ლიტერატურას). ტყვარჩელისა და ოჩამჩირის „ზონებში“ მოქცეულ სკოლებში, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, კატეგორიულად აიკრძალა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება, გათავისუფლდა ამ საგნის 26 მასწავლებელი. სამაგიეროდ, გაიზარდა რუსული ენის საათები და სხვა საგნების სწავლებაც რუსულ ენაზე.*

გალის „ქვედა ზონის“ სკოლები, 2014-2015 სასწავლო წლამდე, ინარჩუნებდნენ ქართული სკოლების სტატუსს. სამწუხაროდ, გალის აფხაზური ადმინისტრაციის ბრძანებით, ამ წლის დასაწყისიდანვე, რუსულენოვან სწავლებაზე იქნა გადაყვანილი აღნიშულ „ზონაში“ ფუნქციონირებადი 11 სკოლის მოსამზადებელი და I-IV კლასები. ქართველი ბავშვისთვის, რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა მათემატიკას თუ საბუნებისმეტყველო საგანს ქართულ ენაზე, სრულიად გაუგებარი გახდა რუსული სიტყვები და ტერმინოლოგია, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო განათლების ხარისხზე, არამედ მოზარდებისა და მასწავლებლების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

აფხაზური ადმინისტრაცია არ ცნობს ქართული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. გაკვეთილების რუსულ ენაზე ჩატარების მიზნით, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, მთელი 2,5 თვე, გალის ჰუმანიტარულ კოლეჯში, „გადაამზადეს“ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. პედაგოგები იძულებულნი არიან, ჯერ თვითონ ისწავლონ გაკვეთილი რუსულად და შემდეგ აუხსნან მოსწავლეებს. ვინც ამას არ გააკეთებს, გათავისუფლდება და მის ადგილზე დაინიშნება სოხუმში – „აგუ“-ში ან რუსეთის ფედერაციაში განათლებამიღებული პირი. გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი ყველა სკოლის ყველა კურსდამთავრებულს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, აფხაზურ ატესტატში მშობლიურ ენად რუსული ენა უწერია. მასწავლებლები (თანამედროვეობის ნამდვილი გმირები), წლებია, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ასწავლიან მშობლიურ ენას, ინარჩუნებენ ქართულ ენას, ქართულ სულისკვეთებას და სამშობლოს სიყვარულს უნერგავენ თაობებს, რასაც თან სდევს შემოწმება-დასჯის მუდმივი მოლოდინი და სამსახურიდან გათავისუფლების, მშობლიური კუთხიდან გაძევების შიში.

ომამდე, გალის რაიონში 76 სკოლამდელი დაწესებულება – საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა. დღეის მდგომარეობით, ომამდელ საზღვრებში, აღდგენილია მხოლოდ 8 საბავშვო ბაღი, სადაც 502 აღსაზრდელია; ასევე, ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლები – 4 სამუსიკო და ერთი სამხატვრო, სადაც 250-ზე მეტი ბავშვი მეცადინეობს. მთლიანობაში 164 პედაგოგია დასაქმებული. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მათი ხელშეწყობისთვისაც. დროებითი ადმინისტრაციის მოთხოვნა, აღზრდა რუსულ ენაზე მიმდინარეობდეს, აქაც იგივეა. საბედნიეროდ, ამ ეტაპზე, მშობლების დამსახურებით, ბავშვების უმეტესობას შეუძლია ქართულ ენაზე მეტყველება“, – გვიამბობს ქალბატონი ნონა.

აღსანიშნავია, რომ დღეს, აფხაზეთში, საკმაოდ ბევრია სომხური სკოლა. მათ აქვთ უფლება, სომხეთიდან შეიტანონ სახელმძღვანელოები და აკადემიური სომხური ენით განახორციელონ სწავლა-სწავლება. ქართველებს კი, რომლებიც მშობლიურ რაიონში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ, საკუთარ ტერიტორიაზე ჩამორთმეული აქვთ არა მარტო მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, არამედ გადაადგილების, ცხოვრების, ადგილობრივ ე.წ. არჩევნებში მონაწილეობის, ხმის მიცემის და სხვა უფლებები. ეუბნებიან, რომ არ არიან ადგილობრივი მკვიდრები და აიძულებენ, აიღონ დროებითი ბინადრობის უფლება, რაც საცხოვრებელ კარ-მიდამო-



გალის რაიონის სკოლები

საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში

ზე და ყოველგვარ საკუთრებაზე აკარგვინებს უფლებას.

ნონა შონია: *„ომის შემდეგ აღდგენილმა სკოლებმა მუშაობა დაიწყეს ძალიან პრიმიტიულ პირობებში. მათ არ გააჩნდათ არანაირი სასკოლო ნივთი, ინვენტარი, თუმცა სკოლების ხელმძღვანელობამ, პედაგოგებმა, მშობლების დახმარებით, ადგილზე მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების (World Vizzion; დანიისა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოები, გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში) მხარდაჭერით, ნელ-ნელა შეძლეს შედარებით უკეთესი პირობების შექმნა. გადაიხურა სასკოლო შენობები, ნაწილობრივ გარემონტდა სართულები, საკლასო ოთახები, სპორტული და სააქტო დარბაზები, სასკოლო ბუფეტები, შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა ღია სპორტული მოედნები, ნაწილობრივ მოხერხდა ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემების გამართვა, შეძენილ იქნა დგამ-ავეჯი, თუმცა, ჩატარებული სამუშაოები არასაკმარისია და ბევრია გასაკეთებელი სკოლისათვის თანამედროვე იერ-სახის მისაცემად, თანამედროვე ტიპის სკოლის ჩამოსაყალიბებლად, რაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.* ***აფხაზური ადმინისტრაცია სკოლაში დასაქმებულ თითოეულ ადამიანს მოუწოდებს, უარი თქვას ქართული მხარისგან, „სხვა სახელმწიფოსგან“ – საქართველოსგან“ გაწეულ ყოველგვარ დახმარებაზე. ურჩებს „ანტიკონსტიტუციურ“ ქმედებაში ედებათ ბრალი და ისჯებიან.***

ისტორიული სამურზაყანოს – გალის რაიონის მოსახლეობა აფხაზეთში ოდითგან გამოირჩეოდა შვილების განათლებაზე ზრუნვით, ბავშვები კი ყოველთვის ხასიათდებოდნენ გონებამახვილობითა და ნიჭიერებით. მიუხედავად საოკუპაციო და სეპარატისტული რეჟიმის აკრძალვებისა და გატარებული მკაცრი ზომებისა, დღესაც დიდია რაიონის მოსახლეობის ლტოლვა ხარისხიანი ქართული განათლების მისაღებად ქართული საგანმანათლებლო სივრცისაკენ. დაწყებული პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან, გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და ხდებიან საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები; წარმატებით მონაწილეობენ ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, „ევერესტის“ მათემატიკის ოლიმპიადაში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, ინტელექტუალურ ოლიმპიადებსა და ღონისძიებებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში. სწავლაში წარჩინებულები ჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით, კომპიუტერებით, სიგელებითა და დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, დასასვენებლად და გასაჯანსაღებლად იგზავნებიან საზაფხულო ბანაკებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 49-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, ხოლო „ბავშვთა უფლებების კონვენციით“ მშობლებს აქვთ პრიორიტეტი, აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.“

აფხაზეთში, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ, ვითარება ასეთია: გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთა ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში ან არ აგრძელებს სწავლას, ან სოხუმის აფხაზურ სახელმწიფო უნივერსიტეტში აბარებს, დანარჩენი კი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს ირჩევს. ერთეულები ირიცხებიან რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებშიც. სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, რამდენი კურსდამთავრებული აბარებს და აგრძელებს სწავლას სოხუმის აფხაზურ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეუძლებელია. რაც შეეხება აფხაზ მოსწავლეებს, მართალია მცირე ნაწილს, მაგრამ მათაც აქვთ სურვილი, ისწავლონ თბილისში, ქართულ უნივერსიტეტებში. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემებით, გალის რაიონიდან 250 აბიტურიენტი აბარებდა ერთიან ეროვნულ გამოცდას, აქედან 120 სხვადასხვა ქართული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. ჩარიცხულებზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ვრცელდება „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამა (ბაკალავრებისათვის)“, რომლის ფარგლებშიც სწავლის გადასახადი უფინანსდებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. გალის რაიონის რესურსცენტრის უფროსის ინფორმაციით, 2018 წლის ეროვნულ გამოცდებზე, გალის რაიონიდან კვლავ, დაახლოებით, 200-250 აბიტურიენტი გვეყოლება.

გალში არსებულ უამრავ პრობლემას თან ერთვის გადაადგილების სირთულე, ვინაიდან იქ მყოფ ქართველ მოსახლეობას არ აქვს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული პასპორტები. გადასაადგილებლად მათ აძლევენ „მეცხრე ფორმას“, რომელსაც ვადა გაუვიდა; როგორც მოქალაქეებს, არა აქვთ ადგილობრივ ან ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და სხვა ბევრი რამის უფლება. ფაქტობრივად, ქართულ მოსახლეობას, რომელიც აქ უდიდეს უმრავლესობას შეადგენს, სამწუხაროდ, ყველანაირი უფლება აქვს ჩამორთმეული. ბოლო წლებში გალის რაიონის თითქმის ყველა სოფელს აფხაზურით შეუცვალეს საუკუნეთა მანძილზე არსებული ქართული ტოპონიმიკა, რაც ქართული სინამდვილისთვის, ისტორიული სამურზაყანოსთვის – გალის რაიონისთვის სრულიად მიუღებელია.

ნონა შონია: *„ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ვახერხებთ ურთიერთობას მშობლიურ რაიონთან და ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ იქ სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას. თუმცა, წლების განმავლობაში, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საკეთილდღეოდ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება ნამდვილად არ არის ადვილი და ბევრ საფრთხესთანაა დაკავშირებული. ჩვენი მთავრი მიზანი ხარისხიანი ცოდნის გავრცელებაა, მშობლიური ქართული და აფხაზური ენების დაცვა-განვითარებაზე, ქართველთა და აფხაზთა შერიგებასა და მომავალზე ზრუნვაა, ამიტომ არ ვაკონკრეტებთ იმ ხშირ, უთვალავ შემთხვევას, რომელიც გადაგვიტანია ჩვენ და ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას, მასწავლებლებს მუშაობის პერიოდში. დამერწმუნეთ, ჩვენი სახელმწიფოს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მხრიდან ყველაფერი კეთდება შერიგებისათვის. ჩვენ აფხაზებისთვის სამშვიდობო ხელი ყოველდღიურად გვაქვს გაწვდილი: აფხაზი წარმომავლობის ადამიანების უფასო მკურნალობა, უმაღლესი განათლების მიღებაში აბიტურიენტებისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა, პედაგოგებისათვის პროფესიული განვითარების საქმეში დახმარება და მრავალი სხვა. სახელმწიფოს მხრიდან ყველაფერი კეთდება არა მარტო ქართული ენის, არამედ აფხაზური ენის დაცვისა და განვითარებისთვის; მიმდინარეობს სახელმძღვანელოებზე მუშაობა, სცენაზე იდგმება აფხაზური სპექტაკლები, ტარდება ღონისძიებები, სადაც იკითხება აფხაზური ლექსები, აფხაზური ენა ისწავლება ენგურს აქეთ ფუნქციონირებად აფხაზეთის საჯარო სკოლებში. ქართველ ბავშვებში და მათ მშობლებში აგრესია, რომ აფხაზი ჩემი მტერია და მის ენას არ ვისწავლი, საბედნიეროდ, არ არის. მთავარია, თავად აფხაზების მხრიდანაც გადმოიდგას ნაბიჯები ჩვენკენ; ყოველთვის მზად ვართ მათთან ურთიერთობისთვის“.*

გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში ფუნქციონირებად სკოლებსა და სკოლამდელ საგანმანათლებლო, კულტურულ-აღმზრდელობით დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე სწავლების შეზღუდვის და ქართველი მოსახლეობის უფლებების დარღვევის საკითხების საერთაშორისო დონეზე აქტუალიზაცია და ვითარების გამოსწორება, მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გამოხმაურება

ბატონ გია მურღულიას წერილის გამო

„უბედურება ის არის, რომ ერთ საქმეზე კონცენტრაცია მხოლოდ რამდენიმე დღე შეგვიძლია.“ – ვკითხულობთ წერილში.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ისეთი წარმოდგენა შემექმნა, რომ ავტორი სათქმელს პირდაპირ არ ამბობს, ვიღაც ან რაღაც უშლის ხელს, ან იძულებით არის დაწერილი.

მე შევეცადე მხოლოდ მისი წერილის სათაურს და რამდენიმე მოსაზრებას გამოვხმაურებოდი. მახსენდება პოეტური ფრაზა: *„თუ გამაჩინე, კიდეც მარჩინე“*. უბედურება, რომელზეც ბატონი გია ბრძანებს, თუ გამჩენისგან გვჭირს, დავღუპულვართ და ეგ არის, მაგრამ თუ გამჩენმა ასე განაგო, რომ *„ერთ საქმეზე კონცენტრაცია მხოლოდ რამდენიმე დღე შეგვიძლია“*, მაშინ ხელისუფლებაც იმისია, რომ იზრუნოს საქმეზე. თუმცა ის პირიქით მოქმედებს, ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს, რითაც საზოგადოების ყურადღება გადააქვს სხვადასხვა მიმართულებით და ამაში პოულობს რაღაც გამოსავალს. თავის წერილში კი ბატონი გია ჩვენ გვადანაშაულებს, როგორც კონცენტრაციის უნარის არმქონეებს. ხოლო რაც შეეხება დავიწყებას, საზოგადოებას არაფერი ავიწყდება, მხოლოდ თავს ზემოთ ძალა აღარ აქვს. ადამიანები გადაიღალნენ საპროტესტო აქციებით. ხელისუფლების რეაქციები კი გვახსენებს ანდაზას: *„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“*.

სიცხადისთვის მინდა გაგაცნოთ ზემოთ ხსენებული წერილის შინაარსი. იქ ერთხელაც არ არის ნახსენები ხელისუფლება, მთავრობა, განათლების სამინისტრო, მაშინ როცა 12-ჯერ ახსენებს საზოგადოებას /უფრო უარყოფით კონტექსტში/.

წერილში ვკითხულობთ: *„ჩვენ არ გვიყვარს სხვისი უფლებების აღიარება. აქედან გამომდინარე, არ გვიყვარს წესრიგი, წესრიგი თითქოს ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას. ეს დამღუპველია.“*

ჩემი აზრით, საკმაოდ დაუმსახურებელი და მძიმე ბრალდებაა, მაშინ როცა ჩვენმა ქვეყანამ, განსაკუთრებით ჩემმა თაობამ, გამოიარა სხვისი უფლებების შელახვის, უკონტროლობის, აქედან გამომდინარე უწესრიგობისა და ქაოსის 15-წლიანი ამაზრზენი პერიოდი. განა შეიძლება ჩვენ არ გვიყვარდეს წესრიგი? მაშ, რა ხდება? რაც ხდება, ამაზე საუბარი წერილის ავტორს არ სურს, იმიტომ რომ ხელისუფლებაა დამნაშავე: ხელისუფლება ლახავს ადამიანების უფლებებს, ხელისუფლება იქცევა უკანონოდ, რაც გადადის უკონტროლობაში, ხოლო უკონტროლობიდან ერთი ნაბიჯია ქაოსამდე.

„სად არის ის გადაწყვეტილებები, რაც რამდენიმე დღის წინ თუ სამი წლის წინ, თუნდაც ათი წლის წინ მივიღეთ. ვინ აკონტროლებს მათ შესრულებას? რატომ არ მუშაობს სისტემა, რომელზედაც ჩვენ წლების წინაც ვსაუბრობდით, როცა მსგავს ტრაგედიებს შევეჩეხეთ. ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე?“

კითხვა ზოგადია, ადრესატის მითითების გარეშე. ხოლო რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვებს, ჩემი პასუხი ასეთია: სად არის გადაწყვეტილებები? – თაროზე შემოდებულ მასალებში; ვინ აკონტროლებს? – არავინ; ვინ არის პასუხისმგებელი? – არავინ. ჰოდა, მთელი ეს სისტემა...

„ჩვენს ტელევიზიებში სკოლის პრობლემატიკაზე გადაცემებს საერთოდ ვერ ნახავთ, იმიტომ რომ, თურმე ეს საზოგადოებას არ აინტერესებს. საზოგადოება, რომელსაც არ აინტერესებს სკოლა, დაინტერესდება მკვლელობით. ასეთი უპასუხისმგებლობა ჩვენი საზოგადოებისა უნდა დამთავრდეს.“

წერილის ეს ნაწილი ჩვეულებრივ მარცხნიდან მარჯვნივ უნდა წაიკითხო, მაგრამ სიტყვა *„საზოგადოება“* ყველგან *„ხელისუფლებით“* უნდა შეცვალო.

„საზოგადოებას, რომელიც ჯერ კიდევ ლაპარაკობს ომერტაზე, დუმილის პრინციპზე, რაც მაფიოზების პრინციპია, რაზე უნდა ელაპარაკო?“

ზემოთქმულიდან ადვილი მისახვედრია, რომ ბრძოლა ადრე დაუწყიათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ ან მიუყვანიათ, მაგრამ ხელახლა აღმოცენებულა, რადგან *„ჯერ კიდევ ლაპარაკობს ომერტაზე, დუმილის პრინციპზე“*.

ომერტა, დუმილის პრინციპი, პირველ რიგში, პირველ საფეხურზე ქურდულ პრინციპს, ქურდულ მენტალიტეტს მიანიშნებს. ამაზე ავტორს საუბარი არ სურს. მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე, როგორც თავად ავტორი ამბობს, მაფიოზების პრინციპია. ორივე საფეხურის პრინციპი საზოგადოებაში ჩვენმა ხელისუფებამ დაამკვიდრა. ამის თაობაზე ავტორი დუმს.

„რაზე უნდა ელაპარაკო“ – ამ სიტყვებით ავტორმა საზოგადოებას კი არ უნდა მიმართოს, არამედ ხელისუფლებას. იმ ხელისუფლებას, რომელმაც საზოგადოება ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა.

„რაც შეეხება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობა უნდა იყოს ძალიან მაღალი. პირველ რიგში, შექმნას ბავშვების თვითრეალიზების პირობები: იყოს მეტი სპორტული წრე, მეტი სახელოვნებო წრე... ეს წრეები უფრო მეტად ხელმისაწდომი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვები თვითრეალიზების, აი ასეთ გამოხატულებას სთავაზობენ მერე საზოგადოებასაც და სახელმწიფოსაც.“

ამაზეა ნათქვამი, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. იმ სკოლებში, სადაც საზარელი მკვლელობა მოხდა, სპორტული წრეებიც იყო და სახელოვნებო წრეებიც. სპორტულ და სახელოვნებო წრეებშიც შესაძლებელია ინციდენტის დაწყება და თვითრეალიზების მსგავსი ფორმით გამოხატულება.

„ერთხელ ჩემს მოსწავლეებს ვკითხე: თქვენ გვერდით კაცი რომ მოკლან და დაინახოთ, ეს ვინ გააკეთა, იტყვით ამის თაობაზე-მეთქი? აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიპასუხა, არ ვიტყვიო. შენი მეზობელი რომ მოკლან-მეთქი, მაინც არ ვიტყვითო. შენი ძმა რომ მოკლან-მეთქი? ამაზე დაფიქრდნენ, მაგრამ ბევრმა თქვა, მე თვითონ გადავუხდი სამაგიეროსო. ეს საზოგადოებრივ მდგომარეობას მიანიშნებს, ადამიანები არ ენდობიან არც საზოგდოებრივ და არც სახელმწიფო ინსტიტუციებს და ამბობენ, ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ ამ პრობლემასო. მოგვარებაში რას გულისხმობენ? სამაგიეროს გადახდას, რომელიც არც კანონის, არც ზნეობის, არც რელიგიის და არც არანაირ ფარგლებში არ ჯდება. მაშინ უნდა დავერიოთ ერთმანეთს, აღვადგინოთ სამაგიეროს უეჭველად გადახდის პრინციპი და ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ამკვიდრებს სისხლის აღების ტრადიციას.“

ეს აბზაცი სრულად გადავწერე, რათა სრული წარმოდგენა გქონოდათ, თუ რაზე საუბრობს ავტორი.

გამომდნარე მოსწავლეების პასუხებიდან, არა მხოლოდ მოსწავლეებში მკვიდრდება სისხლის აღების ტრადიცია, არამედ საზოგადოებაშიც.

„ადამიანები არ ენდობინ არც საზოგადოებრივ და არც სახელმწიფო ინსტიტუციებს.“ ავტორს ეს მოჰყავს მიზეზად სისხლის აღების ტრადიციის დამკვიდრებაში. მსგავსი მიზეზი უსუსური და დაუჯერებელია. საზოგადოებამ რომ მიმართოს პროტესტის უკიდურეს ფორმას, სისხლის აღების ტრადიციას, ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა არსებობდეს: ისტორიულად, ძველ დროში სისხლის აღების ტრადიცია არსებობდა ზოგიერთ მაღალმთლიან რეგიონში, როცა ხელისუფლების კანონი არ მოქმედებდა. ქვეყნის დედაქალაქში სისხლის აღების ტრადიციის დამკვიდრებაში დამნაშავეა ხელისუფლება. ხელისუფლება, რომელსაც ახასიათებს შერჩევითი სამართალი, არ რეაგირებს კანონდარღვევაზე, სისტემატურად არღვევს კანონებს და ა.შ. რის გამოც ხელისუფლება უნდა დავგმოთ. ამის თაობაზე ავტორი არაფერს ამბობს.

„თუ კარგი იდეა ვერ ხორციელდება, ის არაფრით განსხვავდება ცუდი იდეისაგან.“

სწორედ ცუდი იდეა იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ერთპიროვნულად, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად თორმეტწლიან სასკოლო სწავლებაზე გადასვლა, რომელმაც მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოუტანა სკოლას, საზოგადოებას და ქვეყანას. ამაზე მეტყველებს განათლების სისტემის 18-წლიანი წარუმატებელი რეფორმა.

დემურ კუხალეიშვილი
ზუგდიდი

ისტორიული სოფელი

წიფურია – წარსული, რომლითაც ვამაყობ!

ვუძღვნი თაგილონის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს!

დიდი სიამაყით აღვივსე, როცა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავეცანი ჩემი მშობლიური სოფლის, თაგილონის, წარსულს, მის ისტორიას, სხვადასხვა წყაროში ვრცლად მოხსენიებულ ჩემს „ოდაბადეს“, სადაც მე-17 საუკუნეში უმოღვაწიათ იტალიელ მისიონერებს: ჯუზეპე მილანელს, ქრისტეფორე კასტელს, არქანჯელო ლამბერტის, ჟაკ ფრანსუა გამბას, ასევე, ცნობილ ევროპელ მოგზაურს, ჟან შარდენს და სხვ. აქ იწერებოდა საელჩო წერილები, ეპისტოლეები, იყო წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა, მხატვრობის კერა, სამკურნალო და სავაჭრო ცენტრი, გადიოდა რომსა და კონსტანტინეპოლში მიმავალი გზები...

მიმაჩნია, რომ ჩემი სოფლის წარსული – ეს არის განსაკუთრებული და სათუთი განძი, რომელიც მეტ ყურადღებას, მეტ პატივისცემასა და გაფრთხილებას იმსახურებს მეცნიერ-მუშაკებისა და გეოლოგ-მკვლევრებისაგან. მინდა ყველა ჩემმა თანამემამულემ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ, უფრო მეტი იცოდეს წიფურიაზე, აფხაზეთში მდებარე ამ უძველეს, უდავოდ საინტერესო და ისტორიულ კუთხეზე.

„წიფურია მეგრულად წიფლნარს ნიშნავს. არის გვარი წიფურიაც. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს სახელი ეკლესიებთან ახლოს წიფლის დიდი ხეებისგან მომდინარეობს, მეორენი ამ სახელს ვინმე ვაჭარ წიფურიას უკავშირებენ, რომელსაც აქ პირველად სავაჭრო გაუხსნია, ხოლო შემდგომ მისი შთამომავლობა მარტვილში გადასახლებულა.“

მოგეხსენებათ, დროს ვერაფერი აჩერებს, წარსულს უკან მხოლოდ სამატიანო წყაროები „აბრუნებს“, წარსულის ხილვა და შეგრძნება მხოლოდ „დროის მანქანას“ ძალუძს. მოდით, მივმართოთ ორივე მათგანს და ოთხი საუკუნის უკან გადავინაცვლოთ, „ვესტუმროთ“ მე-17 საუკუნის კოლხეთის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს, დღევანდელი თაგილონის წინამორბედს, ჩვენს წიფურიას, რომელსაც იტალიელი მისიონერებისა და ფრანგი მოგზაურების გარდა, ბევრმა ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ საინტერესო ნაშრომები მიუძღვნა.

შემოკლებით გთავაზობთ ამონარიდებს ამ წიგნებიდან:

„წიფურია იყო ისტორიული სოფელი, რომლის სახელი ცნობილი იყო რომსა და კონსტანტინეპოლში, უფრო გვიან, მთელ ევროპაში. ის იყო ქართული და ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იმ დროის ენგურისპირეთში. აქ მოღვაწეობდნენ არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, დონ მარი ჟოზეფ ზამპი, ჟაკ ფრანსუა გამბა, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და სხვები. ისინი სრულყოფილად ფლობდნენ არა მარტო ლიტერატურულ ქართულს, არამედ დიალექტებსა და ქართველურ ენებსაც.“

წიფურიას შესახებ უამრავი გამოქვეყნებული ცნობა მოიპოვება რომის, ვატიკანის, კონსტანტინეპოლის მუზეუმებში, ლათინურ და სხვა ევროპულ ენებზე.

იტალიელი მისიონერებისა და ევროპელ მოგზაურთა წიგნებში: „სამეგრელოს აღწერა“, „წმინდა კოლხიდა“, „წერილები საქართველოზე“, „სამეგრელოს აღწერილობა“, „მოგზაურობა საქართველოში“ და სხვა წყაროებში გადმოცემულია წიფურიას მისიონში ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი შთაბეჭდილებები. სწორედ იტალიელმა მისიონერმა, მხატვარმა და კარტოგრაფმა, ქრისტეფორე კასტელმა შექმნა მე-17 საუკუნეში კოლხეთის რუკა, რომელიც ერთვის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას“. კასტელის ფუნჯს ეკუთვნის წიფურიას ხედების უნიკალური ჩანახატები. წიფურიაში არსებობდა სკოლაც, სადაც თეატინელი მისიონერები ქართველ ყმაწვილებს ასწავლიდნენ ლათინურს, ქართულს, თეოლოგიას, საღვთო წიგნებს და ა.შ. წიფურია იყო ცენტრი, საიდანაც კოლხ ბავშვებს აგზავნიდნენ სასწავლებლად იტალიაში. ისინი თავდაპირველად აქ გადიოდნენ სათანადო მომზადებას.

წიფურია ცნობილია, აგრეთვე, როგორც სამედიცინო ცენტრი, იყო აფთიაქი, წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა საღვთო წიგნები, რომში გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული „ანბან-ლოცვანი“, ჰომეროსის პოემები. სწორედ წიფურიას ტიპის მისიონების მოსამარაგებლად გამოიცა რომში პირველი ქართული წიგნები.

წიფურია სამთავროს ერთ-ერთი განვითარებული სავაჭრო ეკონომიკური ცენტრიც ყოფილა. არქანჯელო ლამბერტი წერს: *„ბაზრობა იმართება სამეგრელოში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში წიფურიას ეკლესიასთან. ამ ბაზრობაზე ძალიან ბევრი ხალხი იკრიბება. ზოგჯერ შეიყრება ოცი ათას კაცამდე ...მოაქვთ აქ ნაირნაირი შეღებილი და სახეებიანი ტილოები და ირანულ-თურქული შალები ...აქვე იყიდება მარილი, ღომი, თაფლი, ცვილი, ძაფი, ადგილობრივი ტილოები, ქვაბები, თითბერი, მატყლი, ხარები, ძროხები, ცხვრები, თხები ...ყველა ამეებს სცვლიან ერთმანეთში, ისე, რომ ფული არ ჩანს“.* ბაზრობა შუასაუკუნეობრივი „იარმარკის“ ტიპის ყოფილა. წიფურია საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრადაც ჩანს, სადაც ჩამოდიოდნენ თურქი ვაჭრები. ტექნიკური სიახლეებიც იქმნებოდა. მისიონერებმა აქ გააკეთეს ნისქვილი, რომელსაც ცხენი ატრიალებდა.

ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა მოსთხოვეს პატრებმა სამეგრელოს მთავარს. წიფურია ჰუმანიზმის ცენტრიც იყო და დევნილ ბერძენთა და გასაყიდად განწირულ ტყვეთა თავშესაფარიც! იმავდროულად, ძველი ოდიშის თავისებური და დიპლომატიური რეზიდენცია, სამეგრელოს ევროპასთან ურთიერთობის კერა გახლდათ. ოსმალეთისაგან შევიწროებული სამეგრელოს მთავრის ევროპულ ორიენტაციას პოლიტიკაში, უმთავრესად, წიფურიაში მოღვაწე მისიონერების მეშვეობით ეცნობოდა რომი.

იქ მოღვაწე პატრები (მისიონერები) ხშირად ასრულებდნენ სამეგრელოს მთავრის ელჩის როლს რომში. ასე, მაგალითად, 1643 წელს, ლევან დადიანმა პაპ ინოკენტი მეათესთან ელჩად გაგზავნა ჯუზეპე მილანელი, რომელიც რომიდან უკან მომავალი, კონსტანტინეპოლში, შეიპყრეს თურქებმა, ჯაშუშობა დასწამეს და ციხეში ჩასვეს. დაიღუპა 1646 წელს.

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ ჩამოთვლის მე-17 საუკუნის სამეგრელოს მონასტრებს და წერს, რომ არსებობდა *„საეპისკოპოსო ეკლესიები, რომელთაც წინათ ჰყავდა თავისი ეპისკოპოსები, ახლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად. პირველია ქიაჩის მონასტერი, მთაზე აშენებული (ახლანდელი ახუწა, ოჩამჩირის რაიონი), მეორეა წიფურიას მონასტერი, რომელიც აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთისმშობლის სახელობისაა, მეორე – წმიდა გიორგისა.“*

„...ენგურის პირას, მდინარიდან დაახლოებით კილომეტრზე, სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე, ნაბაკევის საზღვართან, ვაკეზე აღმართულ ბორცვზე (რომლის ძირიდან გამოდის წყარო უცნაური სახელწოდებით „ერგუჯარუ“) დღემდე მოღწეული არის რიყის ქვით ნაგები გალავანი, კედლის სისქე ერთი მეტრია, დანარჩენი გალავნის ნაშთი 1-1,5 მეტრის სიმაღლემდე. გალავნის შიგნით ჩანს ნაგებობათა ნაშთები. მოსახლეობა ამ ადგილს დღესაც წიფურიას ეძახის...“

„...1634 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა იტალიელ მისიონერებს გადასცა წიფურიას ეკლესიები, იქვე ახლოს საცხოვრებელი სახლები, მამულები და ყმები.“

„...ეკლესიის მიცემისთვის კონსტანტინეპოლის პატრიარქი ძლიერ განურისხდა დადიანს და სამეგრელო ერთიანად უნდა შეეჩვენებინა თურმე, ხოლო დადიანმა ყურადღება არავის მიაქცია. დაბინავდნენ რა მისიონერები ასეთ მშვენიერ და მზა მამულში, შეუდგნენ მეგრულის შესწავლას და მალეც შეისწავლეს. მაშინვე დაიწყეს ქადაგება და ხალხის მოვლა, რაოდენადაც კი შეეძლოთ. უნდა ვსთქვათ, რომ განუზომელი და გამოუთქმელია ყოველი ის სიკეთე, რაც ამათ მიაგეს ქართველ ერს, მეტადრე სამეგრელოში.“

„...მისიონერების ზეგავლენით დადიანმა აკრძალა ყმების გაყიდვა. მათ სულ ვერ აღმოფხვრეს ყმების გაყიდვა, მაგრამ მის ასაკრძალავად ბევრი რამ გააკეთეს. ასევე მიიღეს საჭირო ზომები ნათლისღებაზე და ბავშვების მონათვლაზე...“

„...მისიონერები მათ მიერ დაარსებულ სკოლაში ზრდიდ-



ისტორიული სოფელი

ნენ ერთმორწმუნეებს, მაგრამ, ამავე დროს, ასწავლიდნენ დურგლობას, მჭედლობას, ხელოსნობის სხვა დარგებს, უცხო ენებს და სხვ.“

1910 წელს მიქელ თამარაშვილმა გამოსცა კაპიტალური შრომა „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. წიგნში შესულია ლევან დადიანის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილის ქართული თარგმანი. წერილი ასეთი შინაარსისაა: *„დიდად პატივცემულო მამაო ურბან VIII, მე თქვენი პატივის მორჩილი. უკვე ათი წელი გავიდა, რაც დონ ჯუზეპე და დონ არქანჯელო ჩვენთან ჩამოვიდნენ და გადმოგვცეს თქვენი საპატივისმცემლო წერილი, მაშინვე გადავწყვიტეთ თქვენთვის გვეპასუხნა და წერილი გამოგვეგზავნა შიკრიკის ხელით, მაგრამ სიძნელეებმა არ მოგვცა საშუალება მოგვეხადა ჩვენი ვალი და აი, უზენაესის ღმერთის შემწეობით დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთის, გურიის მთავრები. პატრ დონ ჯუზეპეს ხელით გიძღვნით ორ ბავშვს და გთხოვთ მათ კურთხევას. ჩვენ პატივით მივიღეთ მამები, რომლებიც ინებეთ და გამოგვიგზავნეთ. მათ გადავეცით კარგი ეკლესია და საცხოვრებელი სახლები, მსახურები და საკმაო სურსათი. რადგან ესენი კარგი მღვდლები არიან, ჩვენ განსაკუთრებულად მოვალენი ვართ თქვენი ასეთი ადამიანების გამოგზავნისთვის. გავიგეთ რა, რომ თქვენ მართავთ მთელ ქვეყანას, როგორც მემკვიდრე წმინდა პეტრესი და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გვსურს იყოთ ჩვენი მმართველი და მფარველი. აქ ჩვენს სამთავროში არ არიან შალისა და აბრეშუმის მქსოველები, რომლებიც დაამზადებენ ტანსაცმელს ჩვენი ქვეშევრდომებისთვის და ისინი ხშირად იძულებულნი არიან ამ ნივთების საჭიროებისათვის თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყმები, რაც მიუღებელია და რომელსაც თვით ადამიანის ბუნებაც ეწინააღმდეგება. ჩვენ გევედრებით, გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ამ ხელობის მასწავლებლები, რადგან მათი დახმარებით გადავრჩებით ამგვარ ტანჯვას. ჩვენ პირობას ვდებთ, ღმერთი იყოს ამის მოწმე, რომ მივიღებთ მათ დიდი პატივითა და ხელგაშლილობით, თავიანთი არჩევანის მიხედვით მივცემთ საცხოვრებელს, მოსამსახურეებს, კარ-მიდამოსა და ყველაფერ იმას, რაც მათ დასჭირდებათ სასურველი და წყნარი ცხოვრებისათვის. კიდევ მეტიც, მოწმედ დავიყენებთ სამებასა და ღმერთის ერთობას, რომ არ ვიქნებით მოძალენი ამ ხელოსნების მიმართ. დაე, ღმერთის წყალობა და მისი უსაზღვრო ღმობიერება იყოს ჩვენთან საყოველთაოდ. დაე, აღსრულდეს ასე“* (ამ წერილიდან ჩანს, რომ სამეგრელოს მთავარი არა მარტო ღვთის მორწმუნეა, არამედ თავისი ხალხისთვის მზრუნველი თავადიც).

მიუხედავად ასეთი კეთილგანწყობისა, წიფურიას მისიონის კეთილდღეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1685 წლის 10 აპრილს, სამეგრელოს მთავარსა და აფხაზებს შორის უთანხმოების გამო, აფხაზებმა სამეგრელო აიკლეს, დაარბიეს და გაძარცვეს მისიონერთა სახლები. იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ისა და სამეგრელოს მთავარ ლევან III-ს შორის ატეხილი ომის გამო, წიფურიას ეკლესიებიც განადგურდა, გაპარტახდა მისიონერთა ინფრასტრუქტურა, განიავდა მათი პირადი ნივთები და ქონება. მისიონერებმა, დაუღალავი შრომითა და თავგანწირვით, არაერთხელ დააყენეს ფეხზე განადგურებული მისიონი, მაგრამ დაუსრულებელმა ომებმა, მთავრებს შორის უთანხმოებამ, ღალატმა და შუღლმა არ მისცა მათ საშუალება ბოლომდე შეესრულებინათ თავიანთი მისია. სამწუხაროდ, XVIII საუკუნისათვის წიფურია უკვე აღარ იყო მისიონერთა მოღვაწეობის ცენტრი. მათ მიერ დატოვებული ორივე ეკლესია ამჟამად დანგრეულია. მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ დავიწყების ფერფლით არასოდეს დაიფარება ჩვენი წარსულის კულტურის შესანიშნავი მოწმე – ჩვენი წიფურია.



მისიონერების ოთხთვლიანი ურემი

P.S. თავს ვალდებულად მივიჩნევ, ამ წერილში ორიოდე სიტყვით უდიდესი მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი მშობლიური სკოლა, რომელსაც ამჟამად უნიჭიერესი, საზოგადოებაში გამორჩეული ადამიანი **თემურ ჯოლოგუა** უძღვება. მას გვერდით უდგას უაღრესად პატიოსანი და ნიჭიერი პიროვნება, სასწავლო ნაწილის გამგე **თორნიკე შარია** და პედაგოგიური კოლექტივის სოლიდური შემადგენლობა.

ამას წინათ მქონდა შესაძლებლობა, მომენახულებინა ცოდნის ეს კერა. გაკვირვებული და აღტაცებული დავრჩი მონესრიგებული ეზო-ბაღით, ულამაზესი სკვერებით, სპორტული მოედნებით, თანამედროვე სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, საკონცერტო დარბაზითა და სხვა ნაგებობებით. მოვიხიბლე ერთ მუშტად შეკრული პედაგოგიური კოლექტივის ხილვით, მათთვის ჩვეული, ტრადიციული, შესანიშნავი პურ-მარილითა და სტუმართმოყვარეობით...

სიკეთე, ბარაქა და დიდება თქვენ, ჩემო თანამემამულენო, თანასოფლელებო, ჩემო ყოფილო კოლეგებო. ახალბედებო, მოწვეულო პედაგოგებო, რომლებსაც განათლების ფრონტზე გიხდებათ შეუპოვარი, ნამდვილი ბრძოლა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა, საკუთარი ჯანმრთელობის ფასად მომავალი თაობისთვის სწორი გზის გაკვალვა.

„ცხოვრება ის დღეები როდია, რომელიც გადის, არამედ ის, რომელიც გამახსოვრდება“ – თქვენთან, თქვენ გვერდით გატარებულმა რამდენიმე საათმა, ნანახმა და განცდილმა, ჩემს სულს, გონებასა და ყრუ ტკივილით, უსასრულო მონატრებით დაღლილ გულს უსაზღვრო სიხარული, სითბო და ბედნიერება შემატა.

ვამაყობ, რომ იქ, აფხაზეთში, თაგილონის საშუალო სკოლის „სანთელი“ თვალისმომჭრელად, ფართოდ ანათებს, იწვის და არა ბუუტავს!

დიდი სიყვარულით, მოწიწებითა და ღრმა პატივისცემით,
ომარ შარია

ბაზრობა ეკლესიასთან

ლიტერატურის სწავლებისათვის

ლირიკული ლექსის წაკითხვა ლიტერატურის გაკვეთილზე

ლიტერატურის გაკვეთილის ეფექტურობის საკითხის გადამწყვეტი მომენტია ნაწარმოების ტექსტის წაკითხვა მასწავლებლის მიერ. თუ წაკითხვამ სასურველი გავლენა მოახდინა მოსწავლეებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე დაძაბულია მათი ყურადღება, აღძრულია ინტერესი და, ამგვარად, შექმნილია ძირითადი პირობა ტექსტზე შემდგომი მუშაობისთვის. თუ წასაკითხი ტექსტი კარგად აქვს მომზადებული მასწავლებელს, დაიწყებს თუ არა კითხვას, მყისვე იგრძნობს თავის წარმატებას, პირველ რიგში, თვითონ განიცდის დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას და ასეთივე გრძნობას ამჟღავნებენ მოსწავლეებიც, რომლებიც კმაყოფილი სახეებით შესცქერიან მას.

მასწავლებელს მეტი მუშაობა მართებს, რომ საფუძვლიანად მოემზადოს ასახსნელი ლექსის სანიმუშოდ შესწავლისათვის.

ლიტერატურის მასწავლებელმა არ უნდა დაისახოს მიზნად მსახიობებისა და პოეტების კითხვის მანერების გადმოღება. უნდა განვასხვაოთ არტისტული და ავტორისეული კითხვა სასკოლო გამომეტყველებითი კითხვისაგან. გამომეტყველებით კითხვის სწავლება არ გულისხმობს არც აქტიორული და არც ავტორისეული კითხვის დაუფლებას, რადგანაც სკოლა არც მსახიობებს ზრდის და არც პოეტებს.

სკოლაში გამომეტყველებითი კითხვა აღიარებულია მხატვრული ნაწარმოების სწავლებისა და მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად.

სასკოლო გამომეტყველებითი კითხვა არის ხმამაღალი კითხვის უფრო დაბალი საფეხური, ვიდრე მხატვრული პროფესიული კითხვა. მხატვრული კითხვის დაუფლება არ მოეთხოვება არც მოსწავლეს და არც მასწავლებლებს, რადგანაც ის არის არტისტული, პროფესიული კითხვა, რომელშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მიმიკა, ჟესტი და პოზა, ხოლო გამომეტყველებითი კითხვის პროცესში მხოლოდ ხმის ცვლა წარმოადგენს აზრისა და განცდის ცვლის გადმოცემის საშუალებას. ლიტერატურის ყველა მასწავლებელს მოეთხოვება გამომეტყველებითი კითხვის ცოდნა და სწავლება.

როგორც უკვე აღვნიშნე, მასწავლებელი საფუძვლიანად უნდა მოემზადოს იმისთვის, რომ, რაც შეიძლება ნაყოფიერად, წაიკითხოს ასახსნელი ლირიკული ნაწარმოები პირველად.

რას გულისხმობს მასწავლებლის მომზადება გამომეტყველებითი კითხვისათვის? პირველ რიგში, მასწავლებელმა ღრმად უნდა შეისწავლოს ტექსტი. საჭიროა, რომ წარმოსახვის გზით, რაც შეიძლება ნათლად, დაინახოს მწერლის მიერ დახატული სურათები, გაიგონოს ხმები, აღიქვას ენის მუსიკა. უნდა გვახსოვდეს, რომ გამომეტყველებითი წაკითხვა არის „ხმოვანი თვალსაჩინოება“. ამიტომ მასწავლებელმა კონკრეტულად უნდა განიხილოს ლექსში ჩაქსოვილი აზრების თანდათანობითი განვითარება და მათი ურთიერთობა. ამ მიზნით ტექსტი უნდა დაიყოს ნაწილებად და ღრმად გავიაზროთ თითოეული ნაწილის შინაარსი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლექსის ენობრივ მხარეს. ცალკე გამოიყოფა ის სიტყვა-თქმები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზრის ზუსტად გადმოცემისა და ემოციური თვალსაზრისით. ამგვარი მუშაობის პროცესში მასწავლებელი ტექსტში გააკეთებს პირობით ნიშნებს, რომლებიც უჩვენებენ დიდ და მცირე პაუზას, ლოგიკური და სხვა სახის მახვილების მატარებელ სიტყვებს, ინტონაციის ცვლას და ა.შ. როგორც პაუზის გადიდება და შემცირება, ისე მახვილიანი სიტყვების გამოყოფა საკმაოდ სუბიექტური ხასიათის მოვლენებია, ე.ი. ყველა წამკითხველისთვის სავალდებულო არაა ერთი სქემის გამოყენება, მაგრამ მთავარია ის, რომ წამკითხველს შეეძლოს მოტივირება, თუ რატომ კითხულობს ასე და არა სხვანაირად. თავისთავად ცხადია, როცა მასწავლებელი წასაკითხად ამზადებს ლექსის ტექსტს, იგი უნდა ემყარებოდეს გამომეტყველებითი კითხვის თეორიულ საფუძვლებსა და ლექსწყობის წესებსაც, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ გამომეტყველებითი წაკითხვა ხშირად არღვევს ლექსის მეტრულ ნორმებს და რიტმულ ჩარჩოებს. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. რიტმული ინერციის მექანიკურად გაძლიერება ლექსის მონოტონური კითხვის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ეს ნაკლი ძალიან საგრძნობია მოსწავლეთა კითხვაში, მაგრამ მასწავლებელს იგი არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება, მისი კითხვა ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს გამომეტყველებითი კითხვის მოთხოვნებს.

არ ვარგა ლექსის კითხვა სიმღერით, მარცვლების გამოყოფით – ეს მოთხოვნა განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ლექსის კითხვისას, რომელიც თავისი ბუნებით ვერ იგუებს ამღერებულ კითხვას, მონოტონური კითხვა გადადის ამღერებულ კითხვაში.

ლირიკული ლექსის გამომეტყველებით წაკითხვა მისი ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი საფეხურია. კარგად წაკითხვა ტექსტს თითქოს ახლებურად აშუქებს, მასში აღმოაჩენს და განგვაცდევინებს ისეთ მომენტებს, რომლებიც მანამდე თითქოს არც კი არსებობდა. ამგვარად, ტექსტის საფუძვლიანი დამუშავება განაპირობებს მის გამომეტყველებით წაკითხვას, ხოლო თვით გამომეტყველებითი წაკითხვა ხელს უწყობს მისი შინაარსის ღრმად ჩაწვდომას. ამიტომ ითვლება გამომეტყველებითი კითხვა ნაწარმოების ანალიზის ერთ-ერთ აქტიურ ხერხად.

მეთოდიკაში გამოთქმულია აზრი, რომ გაკვეთილზე ლექსის პირველადი კითხვა, მასწავლებლის მაგივრად, დაევალოს მოსწავლეს, რომელიც სხვებზე უკეთ კითხულობს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეს გამოიწვევს მასწავლებლისა და მოსწავლის როლის „გათანაბრებას“. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე წინასწარ უნდა იყოს გაფრთხილებული მასწავლებლისგან, რომ მან შეძლოს ტექსტის წაკითხვისთვის უკეთ მომზადება და მოუღოდნელი არ იყოს მისთვის მასწავლებლის დავალება. თავისთავად ცხადია, რომ მოსწავლეს მასწავლებლის გარეშე არ შეუძლია მომზადება. სასკოლო პრაქტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ამ მნიშვნელოვან მეთოდურ ღონისძიებას სწორად არ იყენებენ და მოსწავლეებს ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და მომზადების გარეშე აკითხებენ მათთვის უცხო ტექსტს. როგორი კარგი მკითხველიც არ უნდა იყოს მოსწავლე, მის მიერ ასე სახელდახელოდ აღებული ტექსტის წაკითხვა ვერ უპასუხებს გაკვეთილის მიზანს. ვფიქრობ, მასწავლებელმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიანდოს მოსწავლეს ასახსნელი მასალის პირველად წაკითხვა, როცა თვითონ ვერ ახერხებს წაკითხვას შემთხვევითი მიზეზის გამო (ვთქვათ, ხმის დაზიანების ან სხვა მსგავსი გარემოების შედეგად). ამ შემთხვევაში მან წინასწარ უნდა წააკითხოს მოსწავლეს ტექსტი და შემოწმების შემდეგ გამოიყვანოს კლასის წინაშე (თუ არის ამის შესაძლებლობა), ჩვეულებრივ პირობებში კი მასწავლებელმა აუცილებლად თვითონ უნდა წაიკითხოს პირველად ტექსტი.

როცა ლექსის წასაკითხად მომზადებული მასწავლებელი დგას კლასის წინაშე და, რამდენადაც შეუძლია, ცდილობს, გაუყალბებლად გადმოსცეს პოეტის მისწრაფებანი, მაშასადამე, თვითონაც განიცდის ამ გრძნობებს, მაშინ მის ხმას, მის გამომეტყველებას და, საერთოდ, მის სულიერ მდგომარეობას აქვს განსაკუთრებული ძალა. მხოლოდ მასწავლებელს შეუძლია, გაიგოს მწერლის ის ერთადერთი, ჭეშმარიტად შემოქმედებითი განწყობილება, რომელიც საშუალებას მისცემს მას, წაიკითხოს გულწრფელად და ემოციურად, ზედმეტი დრამატიზაციისა და ცრუ პათოსის გარეშე.

ელისო გაგათაშვილი
თბილისის 76-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საგანმანათლებლო კერა

სტუმრად საუკუნოვან სკოლაში

ზემო ორღული ერთ-ერთი დიდი სოფელია საჩხერის რაიონში უძველესი სკოლით, ხუთი წლის შემდეგ საუკუნეს რომ იზეიმებს და კიდევ ერთხელ გაიხსენებს ისტორიის მესაძირკვლეებს. მშობლები და მოსწავლეები ამ მნიშვნელოვან დღესასწაულზე კიდევ ერთხელ გამოხატავენ მადლიერებას წინაპართა მიმართ, ვინც იმერეთის მშვენიერ სანახებში, კომპაქტურად დასახლებულ სოფელს ორსართულიანი, ყველაფრით გამართული სკოლა შესძინა, თუმცა გულისტკივილი და სინანული მაინც არსებობს.

– სოფელი იცლება, ცარიელდება, მიწიდან იმდენ სარჩოს ვეღარ ვიღებთ, რომ გვეყოს, ბევრნი დედაქალაქისაკენ ან საზღვარგარეთ მიეშურებიან, – შემოგვჩივლეს პედაგოგებმა და მშობლებმა, მაგრამ, სიამოვნებით დასძინეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, რაც დემოგრაფიული პროგრესის მანიშნებელია და იმის იმედს აჩენს, რომ ახლო მომავალში ზემო ორღულის რვაწლიანი სკოლა სრული, სამსაფეხურიანი გახდება. ამჟამინდელი VII-VIII კლასელები მაღალ კლასებს შეემატებიან და, ამ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თუ ადგილობრივი რესურსცენტრი ყველანაირად შეეცდებიან, სოფლის გადარჩენისა და დემოგრაფიული პრობლემის დადებითად გადაწყვეტისათვის, ეს საჭირბოროტო საკითხი ორღულელთა სასარგებლოდ გადაჭრან.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ხელმძღვანელობამ, თავმჯდომარის, პროფესორ **გარი ჩაფიძის**, პროფესორ **ლეილა გეგეშიძის** და გამგეობის წევრთა მიერ შემუშავებული სამუშაო პროგრამით და ამ საზოგადოების ეგიდით, ორსაფეხურიან სკოლაში ერთი მიზნით გაგვაგზავნა – ახლოს გავცნობოდით სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა, პედაგოგთა ფსიქოლოგიურ განწყობებს, დავინტერესებულიყავით არის თუ არა ბულინგის შემთხვევები და ზოგადად, გაგვერკვია, რა სჭირდება სკოლას, მოსწავლეს, პედაგოგს.

აქ სტუმრობამ, ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებში არსებული სკოლებისგან განსხვავებით, ღრმად დაგვარწმუნა, რომ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. ამ ზოგადი ფრაზის დაკონკრეტებას არგუმენტებით შევეცდებით.

სკოლის ტერიტორია შემოღობილი, სუფთა და დაცული ეზოთი, სპორტული მოედნით, ყვავილნარით – სოფლის მშვენებაა. კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, კვების სანიტარიული, საგანგებოდ მოწყობილი ობიექტი, სუფთა სანიტარიული წერტილები, სასიამოვნო სანახავია მასპინძლისა და სტუმრისთვისაც. ამ კომფორტს და სასიამოვნო გარემოს მოსწავლეები, პედაგოგები, დირექცია ქმნის, მშობელთა აქტიური მონაწილეობით.

მელანია ჩხიტუნიძე: *„მესამე წელია, რაც სკოლას ვდირექტორობ, არჩევით მოვედი, სკოლაში და კოლეჯში პედაგოგად მუშაობის გამოცდილებით. აქაური გახლავართ და ბუნებრივია, ჩემს მხარეში ყველაფერი მიყვარს. ეს სკოლაც გავითავისე, აქ ჩვენი მეორე ოჯახია, კარგი გაგებით და პირველი, რასაც ვცდილობ, ეს არის სკოლის და მოსწავლის უსაფრთხოება. ეს ტერმინი ზოგს ცალმხრივად ესმის, სინამდვილეში, თავისი შინაარსით, ბევრისმომცველია და, პირველ რიგში, გულისხმობს ისეთ საგანმანათლებლო ობიექტს, სადაც, ერთი მხრივ, დარღვეული არ იქნება ბავშვთა და პედაგოგთა უფლებები, ხოლო მეორე მხრივ, ყველას ეცოდინება თავისი მოვალეობები. უსაფრთხო სკოლის შინაგანაწესს ყველაზე უკეთ დირექცია უნდა იცნობდეს და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობაც მოტივირებულია თითოეულ ბავშვზე დაკვირვებით, სასკოლო საქმიანობის აქტივობებით, სწავლა-სწავლების პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვით, პედაგოგთა მაღალკვალიფიციური მომზადებით, წრეობრივი მუშაობის უზრუნველყოფით, მშობლებთან მუდმივი კონტაქტით და რაღა თქმა უნდა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაუსრულებელი ზრუნვით.*

წელს სკოლის გათბობის პრობლემა შეუფერხებლად მოვაგვარეთ, კლასებში სასიამოვნოა შესვლა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ სანიტარიული წერტილების სისუფთავეს, კვების რეჟიმსა და რაციონს, მოსწავლეთა ერთი ნაწილი, დასვენებისას, აქ მიირთმევს სასურველ პროდუქტს“.

დასასრულს დირექტორმა დასძინა, რომ ჯერჯერობით გადასაწყვეტია სააქტო დარბაზის პრობლემა, რომლის მოსაგვარებლადაც, ალბათ, კიდევ მოუწევთ შესაბამის ინსტანციებში მისვლა.

საკლასო ოთახები ჯანმრთელი, მოუსვენარი გოგო-ბიჭებით ავსებულა, 80-ნი არიან, ბევრნი იმისათვის, რომ სკოლაში სისხლსავსე, დინამიური, საინტერესო ცხოვრება იყოს, და სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტანი, რათა ყველა კლასი ბოლომდე შეივსოს, გაიზარდოს სწავლებისა და სწავლის მოტივაცია, სკოლა რიცხვობრივად გამრავლდეს.

რაც ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს მნახველს, ეს სკოლის დირექტორის, პედაგოგთა, მოსწავლეთა მაღალი შემოქმედებითობა და კრეატიულობაა. ყველა კლასში თვალსაჩინოების უმდიდრესი მასალა, გაზეთები, ნახატები, ბევრისმთქმელი წარწერები და დაფები, ყველა საგნის პედაგოგის საოცარი გამოგონებანი, რაც მოსწავლეთა დაინტერესებას აჩენს და მოსწავლეებზე ზრუნვასაც გულისხმობს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, აქ შინაარსისა და ფორმის ისეთი მრავალმხრივობა და მიზანმიმართულებაა, რომ დედაქალაქის ბევრ სკოლას შეშურდება.

მე-5 კლასელები გვეგებებიან და გვიჩვენებენ კლასში, სპეციალურ ქოთანში დარგულ ხეს, რომელსაც ფოთლებად ფურცლები აქვს, რომელზეც მეხუთეკლასელთა გულწრფელი წარწერებია. ხე თავად დირექტორმა გამოიგონა იმისათვის, რომ კლასის, შედარებით, ონავარი მოსწავლეები პირადი პასუხისმგებლობით, წარმატებისათვის განეწყო.

სკოლის ცენტრალურ ნაწილში ცნობილი მამულიშვილების, აქაურთა პორტრეტებია – მუხრან მაჭავარიანი, აკაკი წერეთელი და პაოლო იაშვილი. დიახ, თვალსაჩინოების ყველა საშუალებას მიზანი და დანიშნულება აქვს – მოსწავლეთა აღზრდა და სწავლება, რაც მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში არ ეტევა, ამისთვის სკოლაში ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება. აქტივობების აქტიური მონაწილეები არიან მერვეკლასელები: **დავით გრძელიშვილი, ნიკა იაკობიშვილი, თენგიზ კესარელი, ალექსანდრე მაჭავარიანი, მარი ტოგონიძე, მირზა ჩხიტუნიძე, ლადო ჩოჩორიძე, თიკა ძინძიბაძე, მარიამ ძინძიბაძე**; მეშვიდეკლასელები: **გივი აზნარაშვილი, ერიკ გაგიევი, ზაქრო ხვედელიძე, ზურაბ ფოფხაძე, ირაკლი სადღობელაშვილი, გიორგი კესარელი, რეზო მაჭავარიანი, ქეთევან ძინძიბაძე, ანანო ჩხეიძე, ნია ჩხიტუნიძე** და სხვები.

„მშობელი, ყველა კატეგორიისა და ნებისმიერი მიდგომის, ჩვენ გვანდობს შვილს – ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მისი სწავლა-აღზრდის მონაწილე, სურვილის შემთხვევაში, თვითონ მშობელიც ხდება – ესწრება გაკვეთილს და საკუთარი თვალით ხედავს პლიუსებსა და მინუსებს.

ჩვენი მიზანია ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც ქვეყნის ხვალინდელ დღეს გამოადგება. ამისათვის ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის არც ერთი წევრი არ იშურებს ძალისხმევას. მე მათ ნდობას, პატივისცემასა და სიყვარულს ვუცხადებ ყოველდღიურად. გუნდური პრინციპით მუშაობას წარმატებისაკენ მივყავართ და გვჯერა, მიმდინარე სასწავლო წელსაც მაღალი შედეგებით დავამთავრებთ“. – აღნიშნა დირექტორმა.

* * *

ზემო ორღულის სკოლის მოსწავლეთა საოცამდე მშობელთან შეხვედრამ ბევრი საინტერესო საკითხის გარკვევა მოითხოვა, კერძოდ, მშობლებს, როგორც ყველგან, აქაც აწუხებთ შვილების კომპიუტერთან მიჯაჭვულობის პრობლემა, წიგნთან დაშორება, შრომის უსიყვარულობა და სხვ. ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა მშობელთა და პედაგოგთა უკმაყოფილება მდარე სატელევიზიო პროგრამების, შოუების, სერიალების ჩვენების გამო. ეს უკვე სენია და ამ სენისაგან განთავისუფლებას ისევ წიგნი თუ შეძლებს. „ახალგაზრდობა – წიგნისა და წიგნიერებისაკენ“ – ეს არის ზემო ორღულის რვაწლიანი სკოლის დღეს სამოქმედო დევიზი. სოფლის სკოლის ბიბლიოთეკაც მოწოდების სიმაღლეზეა და ძალისხმევას არ იშურებს, რომ წიგნი ყველა მოსწავლის მეგობრად იქცეს.

წარმატება ვუსურვოთ არა მხოლოდ ზემო ორღულის, არამედ იმერეთის ყველა სკოლას და მხარის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს, **ცისანა მაჭარაშვილს**, რომლის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სასიკეთო სიახლე გაჩნდეს სკოლებში და პედაგოგ-მოსწავლეთა შემოქმედებითობა აისახოს სკოლაზე, რაიონსა და მხარეზე.

ლია მარტაშვილი,
დონარი ადეიშვილი

მასწავლებლის გვერდი

გარედამკვირვებელი გიყურებს შენ!

დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ...

თუმცა, თვალები თუ დახუჭეთ, ამ წერილს როგორ წაიკითხავთ?!

მოკლედ, წარმოიდგინეთ გაკვეთილი, რომელსაც ესწრება გარედამკვირვებელი. გარედამკვირვებელი ხომ გაკვეთილის შეფასების რუბრიკის მიხედვით აფასებს გაკვეთილს და, შესაბამისად, მის ჩამტარებელ მასწავლებელს?!

წარმოიდგინეთ?!

გაკვეთილის დასაწყისშივე მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, რომ იგი მათ შეაფასებს ამა და ამ კომპონენტებში ამა და ამ კრიტერიუმებით. გაცნობით გააცნო, მაგრამ გარედამკვირვებელს გაკვეთილის შეფასების რუბრიკაში უწერია, რომ „მოსწავლემ იცის შეფასების კრიტერიუმები“.

– ნუთუ დარწმუნდა გარედამკვირვებელი, რომ ჩემმა მოსწავლეებმა იციან ეს კრიტერიუმები? – ფიქრობს მასწავლებელი და იგი კიდევ ერთხელ უმეორებს მოსწავლეებს შეფასების მდგენელებს:

– ბავშვებო, ყურადღება მიაქციეთ, თქვენ დღეს შეგაფასებთ ამა და ამ კომპონენტში ამა და ამ კრიტერიუმების მიხედვით.

– საკმარისი იქნება ვითომ? – კიდევ ნერვიულობს მასწავლებელი. – დარწმუნდა, განა, გარედამკვირვებელი, რომ მოსწავლეებმა გაითავისეს შეფასების კრიტერიუმები?!

როგორ უნდა დარწმუნდეს გარედამკვირვებელი, რომ ბავშვებმა გააცნობიერეს, თუ რაში და როგორ შეაფასებს მასწავლებელი ამ გაკვეთილზე?! როგორ და, უნდა გამოკითხოს მოსწავლეები.

– აბა, ნარმონ, რა კომპონენტებში გაფასებთ დღეს გაკვეთილზე? – ეკითხება მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს და ნარმონიც უპასუხებს:

– დღეს ჩვენ გვაფასებთ ამოცანის ამოხსნის ორიგინალური ხერხის მოფიქრებაში...

– კიიდევ?!

– ჯგუფის წევრებს შორის თანამშრომლობაში...

– კიიდევ?!

...და გავიდა ძვირფასი საგაკვეთილო ხუთი წუთი. სამაგიეროდ, გარედამკვირვებელი დარწმუნდა, რომ მოსწავლეები ავლენენ ცოდნას შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებში...

გაახილეთ თვალები! ამიერიდან გაკვეთილებზე ასეთი სცენები აღარ გათამაშდება, რადგან გარე დაკვირვების წესში ახლახან შევიდა ცვლილება და ჩანაწერი: „მოსწავლემ იცის შეფასების კრიტერიუმები“ შეიცვალა: „მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს“. ისევე, როგორც სქემის სხვა კომპონენტებს, გარედაკვირვების პროცესსაც შეეხო გარკვეული ცვლილებები, რაც დაფუძნებულია პროცესის მონიტორინგსა და შეფასებაზე.

* * *

კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით, გაკვეთილის შეფასების რუბრიკაში მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენცია უფრო მკვეთრად გამოიკვეთა (ეს ისედაც იყო გათვალისწინებული) და გაკვეთილი უარყოფითად შეფასდება, თუ მასწავლებელი ვერ გამოავლენს სათანადო საგნობრივ ცოდნას. ეს ცვლილებაც პილოტირების შემდეგ შევიდა...

პოლოტირებაზეც ვთქვათ. როგორც ცნობილი გახდა, დარეგისტრირებული მასწავლებლებიდან გარედაკვირვება გაიარა ასმა პედაგოგმა შიდა ქართლიდან და იმერეთიდან. ასიდან 86-მა პედაგოგმა მოახერხა დადებითი შედეგის „დადება“.

როგორია ეს შედეგი? მაღალია თუ დაბალი? ვფიქრობ, გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის უპრეცედენტოდ მაღალი შედეგი. მეტიც, ეს არის ის რეზულტატი, რაც გარედაკვირვებას, როგორც ასეთს, დღევანდელ მოცემულობაში საერთოდ უკარგავს აზრს. რას ვგულისხმობ დღევანდელ მოცემულობაში? ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომელშიც პედაგოგთა ორი მესამედი იმყოფება უდაბლეს კატეგორიაში და ამ ფონზე იმაში თანხის ხარჯვა, დაწინაურებულ პედაგოგთაგან უფრო მაღალ კატეგორიაში არავინ „გადავიდეს“, მიუღებლად მიმაჩნია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთი მაღალი შედეგები დადეს ამ დაწინაურებულმა პედაგოგებმა (86%). ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რომ უკეთესი შედეგები ვაჩვენოთ და ეს მონაცემი 100 პროცენტს მივუახლოვოთ, რათა მართლაც დავაკარგვინოთ აზრი ამ პროცედურას. მინდა, ამ წერილმაც შეიტანოს ჩვენს სწრაფვაში წვლილი და რამდენიმე რეკომენდაცია გაგიზიაროთ პირადი გამოცდილებიდან თუ სხვებზე დაკვირვებიდან.

* * *

ჩემი რეკომენდაციები არსებულ საგაკვეთილო შეფასების სქემაში წარმოდგენილ რვა პუნქტს მიჰყვება. ეს რვა პუნქტი გადანაწილებულია ორი სფეროს მიხედვით: 1. სასწავლო გარემო და 2. სწავლება.

პირველი მხარე (სფერო) სამკომპონენტიანია:

1.1. ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო

ამ პუნქტში გარედამკვირვებლის დასაკმაყოფილებლად კლასში წარმოაჩინეთ თბილი და პოზიტიური გარემო, მოსწავლეებს საშუალება მიეცით გაიღიმონ, გაიცინონ, აღტაცდნენ. გამოხატეთ სითბო და სიყვარული მათ მიმართ. თუმცაღა, არაა საჭირო ეს ყველაფერი გადაზარდოთ ყალბ, ნაძალადევ მეტყველებასა და ქცევებში (მაგალითად, „ჩემო კუდრაჭებო...“ „მოდით, ჩამეხუტეთ, ჩემო წიწილებო...“).

1.2. კლასის მართვა

სასურველია ჩანდეს, რომ საკლასო პროცედურებს მიჩვეული არიან მოსწავლეები. ამ კომპონენტის სადემონსტრაციოდ ეფექტური იქნება, თუ მოსწავლეებს გაკვეთილის მიმდინარეობისას გადააჯგუფებთ და ეს გადაჯგუფება მოხდება ნახევარ წუთში და უხმაუროდ. ასეთ შემთხვევაში გარედამკვირვებელი აღფრთოვანებული დარჩება (საერთოდაც, პირადად მე მომწონს, როდესაც გაკვეთილის მსვლელობისას გადაჯგუფდებიან მოსწავლეები. ზოგჯერ ათიოდე წუთში შესასრულებელი ჯგუფური სამუშაოს გულისთვის ბავშვები, მთელი 45 წუთის განმავლობაში, მხარმოქცეულები სხედან არაკომფორტულად).

1.3. სასწავლო რესურსი

სულაც არაა რთული მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის მომზადება და ამ პუნქტშიც ოთხი ქულის მოპოვება. მთავარია, რესურსები ლოგიკურად უკავშირდებოდეს ჩვენ მიერ დაგეგმილ აქტივობებს და ავსებდეს მათ. წინასწარვე შეგვიძლია ისეთი რესურსების დამზადება, რომლებიც მუდამ გამოგვადგება გაკვეთილების გამრავალფეროვნებისთვის. მაგალითად, გამოსაძახებელი ჩხირები, შუქნიშნის ბარათები, საიდუმლო ყუთები (რომელშიც საგნობრივი თემატიკის მიხედვით სხვადასხვა ნივთებს, სიტყვებს, ინსტრუქციებს ჩავდებთ.), საგნობრივი პოსტერები (მაგალითად, თუ გამზადებული გვაქვს განაფული კითხვის კომპონენტების მახასიათებლების პოსტერი, ის მუდმივად შეგვიძლია გამოვიყენოთ ენის გაკვეთილზე.) და სხვ.

რაც შეეხება უშუალოდ საგარედაკვირვებო გაკვეთილისთვის დასამზადებელ რესურსს, აუცილებელი იქნება გაკვეთილის მიზნების პოსტერი, მოსწავლის შეფასების მსხვილშრიფტიანი რუბრიკა. თუ პროექტორით გასაშვებ ხუთ-ექვსსლაიდიან პრეზენტაციასაც მოვამზადებთ, მთლად უკეთესი, მცირე ვიდეო ან აუდიოფაილიც დაამშვენებს გაკვეთილს და ა.შ.

აღარ ვიმეორებ, რომ, ერთი მხრივ, ყველა ეს რესურსი ორგანულად, ლოგიკურად უნდა ეწერებოდეს მიზნისკენ მიმართულ აქტივობებში და, მეორე მხრივ, ზომიერებამ არ უნდა გვიღალატოს და მოსწავლეებს თავბრუ არ უნდა დავახვიოთ გადამეტებული სიჭრელით.

მეორე მხარე (სფერო) ხუთკომპონენტიანია:

2.1. მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენცია. სასწავლო მიზნების განმარტება და შინაარსის გამართულობა

(ეს კომპონენტი წინა ვერსიაში ნომრით იყო 2.1.ა. და ეწოდებოდა „სასწავლო მიზნებისა და შინაარსის განმარტება“. არსით იგივე იყო. დაემატა რამდენიმე ქვეკომპონენტი.)

ქართულის მასწავლებელმა ქართული უნდა იცოდეს და, ამასთან, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით უნდა იმეტყველოს გაკვეთილზე. ასევე, ინგლისურის მასწავლებელიც, შეძლებისდაგვარად, უაქცენტოდ უნდა მეტყველებდეს სამიზნე ენაზე ისევე, როგორც მათემატიკის მასწავლებელს უნდა ესმოდეს მათემატიკური ოპერაციები, ფიზიკოსს – ფიზიკური მოვლენები, ქიმიკოსს – ქიმიური პროცესები და ა.შ.

გარდა ამისა, საგნობრივი შინაარსი მოსწავლეთათვის გასაგებად და ნათლად უნდა იყოს გადაცემული. გარედამკვირვებელს უნდა შეეძლოს თვალი მიადევნოს იმ პროცესებს, რომლებიც მოსწავლეებში მიმდინარეობს ახალი ინფორმაციის ათვისების, ახალი უნარის გამომუშავების თუ ახალი დამოკიდებულების ფორმირებისას.

2.2. მოსწავლეებთან კომუნიკაცია. ინსტრუქციები აქტივობებისთვის

(ეს კომპონენტი წინა ვერსიაში ნომრით იყო 2.1.ბ. და ეწოდებოდა „ინსტრუქციები აქტივობებისთვის“)

2.3. სწავლების სტრატეგიები

ამ ქვეკომპონენტს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ აქტივობების ნაწილი, რომელიც აფასებს, თუ როგორ წარიმართება საგაკვეთილო აქტივობები. რამდენად მიემართებიან ისინი საგაკვეთილო მიზნებს, რამდენად ლოგიკურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენად აღძრავს მოსწავლეთა ინტერესს, რამდენად ზომიერად მრავალფეროვანია ისინი. გამოყენებულია თუ არა როგორც ინდივიდუალური მუშაობის ფორმები, ასევე წყვილებსა და ჯგუფებში სამუშაო აქტივობები.

2.4. მოტივაცია და ჩართულობა

ვფიქრობ, ნებისმიერი აქტივობა უნდა იწვევდეს მოსწავლეთა მაქსიმალურ მობილიზებასა და ყურადღებას. დამკვირვებელი ზოგჯერ ერთი მოსწავლის უგუნებობასა და გაკვეთილიდან მოწყვეტას აქცევს ხოლმე ყურადღებას. ჩვენც არ უნდა გამოგვეპაროს ასეთი გარინდებები და მყისიერად უნდა მოვახერხოთ მათი სასწავლო საქმიანობაში გადმორთვა. ამის რამდენიმეჯერ მცდელობა და მოხერხება ნამდვილად იმეტყველებს მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და მის მიერ მართვის სადავეების პყრობაზე.

2.5. სწავლების დროს შეფასების გამოყენება

შეფასება... შეფასება... ქართული პედაგოგიკის სუსტი წერტილი, აქილევსის ქუსლი, ამირანის დაკორტნილი გული და ლუარსაბ თათქარიძის დაუგველი ეზო. წერილის დასაწყისში წარმოდგენილი სიტუაცია სწორედ შეფასების ერთ მხარეს ასახავდა. განვაგრძოთ გაკვეთილზე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკაზე საუბარი.

შეფასების რუბრიკაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ის კომპეტენციები, რომლებიც უნდა შეფასდეს ამ კონკრეტულ გაკვეთილზე. ეს იქნება შეფასების რუბრიკის კომპონენტები (ზოგჯერ ამას „კრიტერიუმებს“ უწოდებენ). შესაბამისად, თუ ჩემი გაკვეთილის მიზანია მოსწავლის მიერ ნივთიერებების სხვადასხვა ჯგუფის შესახებ განსხვავებების წარმოჩენა, შეფასების რუბრიკაში შევიტან კომპონენტს: ნივთიერებათა სხვადასხვა ჯგუფის შედარება.

გაკვეთილის მსვლელობისას შეფასების კომპონენტს ამშვენებს განმავითარებელი შეფასება და მისი გვირგვინი – კონსტრუქციული უკუკავშირი. თუ მოვახერხებთ, რომ გაკვეთილზე ვაჩვენოთ ორი-სამი ეფექტური უკუკავშირი, მაშინ გარედამკვირვებელი აღფრთოვანებული (მათაც ახასიათებთ ასეთი რამ) დატოვებს ჩვენს საკლასო ოთახს.

ცხადია, ჩვენ შეგვიძლია, დაუსრულებლად ვისაუბროთ ზემოთ წარმოდგენილი კომპონენტების შესახებ, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ. თითოეული კომპონენტი კვლავ ოთხი ქულით ფასდება და მაქსიმალური შეფასება ამ რვაკომპონენტიანი სიდიდის 32 ქულაა.

* * *

ბოლოს მინდა შემოგთავაზოთ გაკვეთილის შეფასების ჩემეული ვერსია, რადგან მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი შეფასების სქემა რთული კონცეფციაა. ამ სქემის მიხედვით გაკვეთილის შეფასება ექვსკომპონენტიანი უნდა იყოს:

1. მიზანი
2. აქტივობები
3. რესურსები
4. შეფასება

ეს ოთხი. რაც შეეხება ორ მხარეს გაკვეთილისას – მოსწავლეთა ჩართულობასა და საგნობრივ ცოდნას, – ესენი გამჭოლი უნდა იყოს და ოთხივე კომპონენტში უნდა იგულისხმებოდეს. მაგალითად, მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია წარმოდგენილ ოთხ კომპონენტში შემდეგნაირად იქნება გათვალისწინებული:

1. მიზანი უნდა იწვევდეს მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.

2. აქტივობებში მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები.

3. რესურსები უნდა განაპირობებდნენ მოსწავლეთა მოტივირებას.

4. შეფასება ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე.

იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ მასწავლებლის მიერ გამოვლენილ საგნობრივ ცოდნაზე: აქტივობებსა და რესურსებში ვლინდება მასწავლებლის საგნობრივი ცოდნა...

ვეცდები დავასაბუთო, რატომ უნდა შეიცვალოს გაკვეთილის შეფასების რუბრიკა. დავუშვათ, მასწავლებელი გთხოვთ, აუხსნათ, თუ რა და როგორ შეფასდება მის გაკვეთილზე. შემოგთავაზებთ თქვენი პასუხების ორ ვარიანტს, რომელთაგან პირველი ასახავს გაკვეთილის შეფასების არსებულ რუბრიკას, მეორე კი – ჩემ მიერ შემოთავაზებულს. ქვემოთ შემოთავაზებული ორი პასუხიდან წამკითხველის უმრავლესობისთვის, ვფიქრობ, უფრო მარტივად აღსაქმელი მეორე პასუხი უნდა იყოს:

1. გაკვეთილზე ყურადღება მიექცევა მოსწავლეთა შორის და მასწავლებლის მხრიდან ურთიერთპატივისცემის უზრუნველყოფას. აგრეთვე იმას, თუ როგორ მართავ კლასს, რა რესურსები გაქვს გამოყენებული. უნდა გაითვალისწინო, თუ როგორ ავლენ აკადემიურ ცოდნას, რამდენად გასაგებად გადასცემ მოსწავლეებს საგნობრივ მასალას, რამდენად აღიქვამენ მოსწავლეები შენს ინსტრუქციებს. ყურადღება მიექცევა, რა სტრატეგიებს იყენებ გაკვეთილის მსვლელობისას და რამდენად იწვევს ეს ყველაფერი მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას. მთელ გაკვეთილს თან უნდა გასდევდეს ეფექტური შეფასების ხერხები და საშუალებები.

2. გაკვეთილზე ყურადღება მიექცევა, რამდენად ადეკვატურად გექნება შერჩეული მიზანი, რამდენად შეესაბამება შენ მიერ დაგეგმილი აქტივობები ამ მიზნის მიღწევას, რამდენად გონივრულია შერჩეული რესურსები და რამდენად ემსახურება შეფასების კომპონენტი საგაკვეთილო მიზნების მიღწევას. ეს ყველაფერი უნდა მიმდინარეობდეს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობითა და აკადემიური გამართულობით.

* * *

დაბოლოს, ბოლო მოსაზრება გარედაკვირვების მოდელის შეცვლაზე, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მეტ შედეგს მოიტანს და თანხებსაც დაზოგავს.

გარე შეფასების არსებული მექანიზმი უნდა გაუქმდეს. დაწინაურების მსურველი უფროსი მასწავლებელი დაგროვებული კრედიტების მიხედვით უნდა დაწინაურდეს სკოლის შეფასების ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე. უნდა არსებობდეს გარედაკვირვების ისეთი სისტემა, რომელიც ყველა დაწინაურებულს ანდა დაწინაურების მსურველ პედაგოგს კი არ დააკვირდება, არამედ მის დაახლოებით ათ პროცენტს შემთხვევითი შერჩევის შედეგად. შემთხვევით შერჩეულ პედაგოგს გარედამკვირვებელი დაუკავშირდება წინა დღით და ეტყვის, რომ ხვალ დაესწრება მისთვის სასურველ რომელიმე კლასში.

შემოთავაზებული სქემის მიხედვით სახელმწიფოს მუდმივად ექნება მონაცემები, თუ რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს სკოლას მინდობილი მასწავლებლის დაწინაურება. მაგალითად, თუ ამ მონიტორინგმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა 80%-ზე ნაკლებმა აჩვენა უარყოფითი შედეგი, მაშინ გარკვეულ რეგულაციებსა და მექანიზმებს აამოქმედებს (მაგალითად, შერჩევის სიხშირის 10-დან 20%-მდე გაზრდა, უარყოფითად შეფასებული მასწავლებლის სკოლის ადმინისტრაციისთვის სახდელის დაწესება და სხვ.). მეორე მხრივ კი, ასეთი სისტემა გამოათავისუფლებს და დაზოგავს თანხებს, რომლებსაც სამინისტრო სხვა გამოწვევების, მაგალითად, სკოლების რესურსული მომარაგების ან დაბალკვალიფიციური კადრების ჩანაცვლებისკენ მიმართავს. (გასათვალისწინებელია, რომ შემთხვევითი შერჩევაც უნდა ითვალისწინებდეს სკოლების შესაძლებლობებსა და უნარებს, რის საფუძველზეც სკოლათა გარკვეულ ნაწილში, – რომელთაც უფრო მეტი კომპეტენცია გააჩნიათ, – გარედამკვირვებლის შესვლა შედარებით იშვიათად ან სულაც არ ხდებოდეს).

რაც მთავარია, შემოთავაზებული მექანიზმით მასწავლებელი მუდმივი მოლოდინის რეჟიმში იქნება („ხვალ რომ გარედამკვირვებელმა დამირეკოს?!“) და საკუთარ თავს მოდუნების საშუალებას არ მისცემს. გაკვეთილის ჩატარების ხარისხიც მოიმატებს, რამეთუ პედაგოგს განუწყვეტლად ექნება განცდა იმისა, თითქოს გარედამკვირვებელი მუდმივად აკვირდება მას.

გიორგი ჭაუჭიძე

ესტონური გამოცდილება

ხარისხი – ესტონური სკოლის მთავარი ორიენტირი

18-22 თებერვალს საქართველოს 15 სკოლის 29 პედაგოგი ესტონეთში სასწავლო ტურზე იმყოფებოდა. პედაგოგები 5 დამეგობრებულ ესტონურ სკოლაში ჯგუფებად გადანაწილდნენ. მათ საშუალება ჰქონდათ, დაკვირვებოდნენ ესტონურ სკოლებში მიმდინარე სწავლა-სწავლების თავისებურებებს, გაკვეთილებს, სასკოლო გარემოს, გაცნობოდნენ სკოლის მართვის საკითხებს და ინოვაციურ მეთოდოლოგიურ რესურსებს.

ვიზიტი, რომლის მიზანი დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ ახალი ცოდნის მიღება და მათი პროფესიული განვითარება იყო, გაეროს ბავშვთა ფონდის, ესტონეთის მთავრობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა. „მთავარი მიზანი იყო, გაცნობოდნენ იმ წარმატებულ პრაქტიკებს და მოდელებს, რომლებიც სკოლის მასწავლებელს და, შესაბამისად, მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მიაღწიონ ძალიან მაღალ სტანდარტებს, რაც მოსწავლეთა სწავლასა და შედეგებზე აისახება – ამბობს იუნისეფის განათლების პროექტის ხელმძღვანელი მაია ყუფარაძე.

როგორია ქართველი მასწავლებლის თვალით დანახული ესტონური სკოლა და ტექნოლოგიებით დახუნძლული ესტონური გაკვეთილები, ამის შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს თბილისის მე-18 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი ანა ბაბუნაშვილი. „ასეთს მაინც არ ველოდი," – ამბობს ანა და დეტალურად გვაცნობს ესტონელი კოლეგების მეთოდებს და იმ წარმატების გზას, რომელიც ძალიან ბევრი ქვეყნისთვის სამაგალითოა.

დეტალები „ესტონური გაკვეთილებიდან"

29 მასწავლებელი ვიყავით ტალინის სკოლებში ხუთი დღის განმავლობაში და ვაკვირდებოდით ესტონურ გაკვეთილებს. სიმართლე გითხრათ, ნანახმა მოლოდინს გადააჭრაბა. სულ საუბრობდნენ იმაზე, რომ ესტონეთის განათლების სისტემა, ტექნოლოგიების მხრივ, ძალიან განვითარებულია, მაგრამ, რადგან მაინც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანაა, ასეთს მაინც არ ველოდი. სკოლა, სადაც სამი დღე კოლეგებთან ვიყავი გამწესებული, ტალინის ერთი ჩვეულებრივი სკოლაა, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ყველაფრით, რითაც შეიძლება 21-ე საუკუნეში ადამიანმა დაიკვეხნოს. საკლასო ოთახებში დრონებიც კი დაფრინავს, რომელსაც გაკვეთილის დაპროექტებისთვის იყენებენ. გაკვეთილზე თვალში მომხვდა „ფუტკარი", რომელსაც 15 სანტიმეტრით გადაადგილება შეუძლია წინ, უკან და მარცხნივ იმის მიხედვით, როგორც დააპროგრამებ. ნივთს, თითქმის ყველა კლასში, ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს, ესტონური ენის მასწავლებელიც კი. მაგალითად, მოსწავლემ უნდა დააპროგრამოს „ფუტკარი" ისე, რომ მივიდეს „ა" ასოდან „ს" ასომდე. მან უნდა გამოიცნოს, რამდენი გადაადგილება დასჭირდება მას მოცემული დავალების შესასრულებლად. „ფუტკარს", კიდევ უფრო აქტიურად, გეოგრაფიის, ისტორიის და მათემატიკის მასწავლებლები იყენებენ. მაგალითად, მოცემულია მაგალითი პასუხებით, მოსწავლე აპროგრამებს მას ისე, რომ სწორ პასუხამდე მივიდეს, თან ამას დიდი ხალისით აკეთებს. ეს არის საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ ეფექტურად შეიძლება თამაშით სწავლების გამოყენება. მასწავლებლებმა გვითხრეს, ბავშვებს ჰგონიათ, რომ თამაშობენ, არადა, ამ დროს ძალიან ბევრ რამეს სწავლობენ და ივითარებენ. ამის გარდა, აწყობენ რობოტებს, თითოეული ჭანჭიკის და დეტალის მორგებაზე დამოუკიდებლად ფიქრობენ, რაც, თავისთავად ავითარებს მათ აზროვნებას, შემოქმედებითობას და რაც მთავარია, ეს ხდება მუდმივად, ყოველდღიურად.

მეთოდების თვალსაზრისით, ვერ გეტყვით, რომ რაიმე განსაკუთრებულია და ჩვენ ამ მეთოდებით არ გვიმუშავია, მიმართულება მაინც ერთი გვაქვს – დასავლეთისკენ – ჩვენც და ისინიც. მაგრამ პრაქტიკაში გაცილებით მარტივად ახორციელებენ. ხედავ, რომ ეს მეთოდი შენც შეგიძლია გამოიყენო უფრო მარტივად და ეფექტურად, დაგეგმო უფრო მეტად ინტეგრირებული გაკვეთილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მეტი მოტივაციაა. მე, როგორც დაწყებითების მასწავლებელს, უფრო მიმარტივდება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, რადგან რამდენიმე საგანს ვასწავლი და, აქედან გამომდინარე, საგნების ერთმანეთთან დაკავშირებას უფრო იოლად ვახერხებ. ვასწავლი ქართულს, მათემატიკას, ბუნებას, ხელოვნებას და სპორტს.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც – არც ერთ გაკვეთილზე არ მინახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. როცა ამის შესახებ ვიკითხე, მითხრეს, რომ მათთვის სპეციალური კლასი აქვთ გახსნილი, სადაც ჩვეულებრივი მასწავლებელი ასწავლის და, საჭიროებისამებრ, ეხმარება ლოგოპედი, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი და არა სპეცმასწავლებელი (სპეცპედაგოგის ცნებაც მათთვის უცხოა). სოციალური მუშაკი მთელ სკოლაზეა ორიენტირებული, განსაკუთრებით კი იმ კლასებზე, სადაც სსსმ ბავშვები სწავლობენ.

„დრონები" ტალინის ცაზე

ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენება ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს, ცალკე ტექნოლოგიების გაკვეთილიც უტარდებათ. ხუმრობით ამბობენ, მასწავლებელმა რომ თავი აარიდოს ტექნოლოგიის გამოყენებას, ამის საშუალებას მოსწავლეები არ აძლევენო, ისეთი მონდომებულები არიან და ისეთი ხალისით აკეთებენ ყველაფერსო. ამით, გარკვეულწილად, ერთობიან კიდევაც და ასე თამაშ-თამაშით სწავლობენ. მასწავლებელს სპეციალურად ჰყავს დამხმარე ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც მენტორის როლს ასრულებს. თუკი ის რაიმე სირთულეს წააწყდება, ტექნოლოგიების მასწავლებელი ეხმარება. „დრონის" ფრენა ქალაქში აკრძალულია, რადგან პატარა ქალაქია და ფიქრობენ, რომ ტალინის ცაზე მისი გაშვება არ შეიძლება. მაგრამ სკოლაში მაინც იყენებენ და ამისთვის სპეციალურად ექსკურსიებსაც კი აწყობენ ქალაქგარეთ. გადიან ბუნებაში და იქ ატარებენ გაკვეთილებს. მინი-„დრონები" კი საკლასო ოთახში დაფრინავს.

მაგალითად, გეოგრაფიის მასწავლებელი მას ხედების გადასაღებად იყენებს და მოსწავლეებს მარშრუტების დადგენას აჩვევს,

ტექნოლოგიების მასწავლებელი – მასშტაბის დადგენას, დიზაინის მასწავლებელი კი „დრონით" გადაღებულ ფოტოებს ფერებში აშლევინებს, რადგან ზემოდან გადაღებული სულ სხვაგვარად ჩანს.

პროფესიული ზრდა დამოუკიდებელი სკოლის პირობებში

მასწავლებლის პროფესიული ზრდა, ძირითადად, პრაქტიკასა და გამოცდილებას ეფუძნება. ტალინური გამოცდილება კი, ვფიქრობ, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, მნიშვნელოვნად აისახება.

სკოლა თვალშისაცემად დამოუკიდებელია – არავინ არავის არ ესწრება გაკვეთილზე და, ჩვენგან განსხვავებით, არავინ არავის ამოწმებს. ჩვენთვის სავალდებულოა წინასწარ დაიგეგმოს გაკვეთილი, რომელზეც დაგესწრებიან და შეგიფასებენ. გვითხრეს, რომ ასეთი მიდგომა მათ 90-იან წლებში გაიარეს და მალევე შეწყვიტეს, რადგან ამით სახარბიელო შედეგი ვერ მიიღეს. ამბობენ, რომ დიდი დრო მიჰქონდა გაუთავებელ დოკუმენტირებას და გაკვეთილისთვის მასწავლებელს ცოტა დრო რჩებოდა. ამიტომ დირექტორისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის გაკვეთილებზე დასწრება და შემოწმება შეწყვიტეს, შიდა შეფასების ჯგუფის მიერ ეს პროცესები აღარ ხორციელდება.

მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხარისხის შეფასება მხოლოდ შედეგებზეა მინდობილი. იმის მიხედვით მოწმდება, წლის ბოლოს რა შედეგზე გაიყვანს კლასს. ამბობენ, რომ წლის განმავლობაში მასწავლებელმა ერთი სასწავლო პროექტი მაინც უნდა გააკეთოს. კარგია თუ ცუდი პროექტი, ამის ინდიკატორად მოსწავლეთა რაოდენობა გამოდგება. რაც უფრო მეტი მოსწავლე აირჩევს მას ხელმძღვანელად, ეს იმის დასტურია, რომ პედაგოგმა კარგად იცის საგანი და საუკეთესოდ წარმართავს სწავლების პროცესს. საბოლოო ჯამში კი, მასწავლებლის შემფასებელი წლის ბოლოს კლასის შედეგებია. კარგი შედეგის მაჩვენებელი კლასის მასწავლებელი წარმატებულია.

პროფესიულ ზრდაზე, ფაქტობრივად, სკოლა ზრუნავს – ცდილობს დააფინანსოს ტრენინგები. სკოლა თვითმმართველია და ბიუჯეტსაც საჭიროების მიხედვით განკარგავს, არ არის მიბმული სამინისტროზე, ანუ სისტემა მთლიანად დეცენტრალიზებულია. აქედან გამომდინარე, სკოლა თავად გეგმავს და წარმართავს ყველაფერს, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, თუმცა ამისთვის, ძირითადად, ზაფხულს იყენებენ, დანარჩენ დროს კი მთლიანად სასწავლო პროცესს და ბავშვებს უთმობენ.

ერთი დეტალი, რომელიც, შეიძლება, არც თუ ისე მნიშვნელოვნად მიიჩნიოთ – ყველა მასწავლებელს ეცვა აკადემიურად (ქვედა ბოლო და ბლუზა), არც ერთი არ მინახავს შარვლით. ტალინელი მასწავლებელი ვიზუალურადაც მასწავლებელია, სპეციფიკური და აკადემიური, ამ მხრივაც ძალიან სასიამოვნო გარემოს ქმნის.

საკლასო გარემო

საფეხურებრივად ესტონეთშიც სამი საფეხურია – დაწყებითი, საბაზო და საშუალო, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, მე-9 კლასის დამთავრება იქ სავალდებულოა, ხოლო მე-10 კლასში მხოლოდ ის მოსწავლეები გადადიან, ვისაც სწავლა უნდა. მე-12 კლასს არავინ ამთავრებს მხოლოდ იმის გამო, რომ ატესტატი აიღოს. ამიტომაც მე-9 კლასის გამოცდები საკმაოდ რთულია.

საკლასო ოთახი ჩვენი საკლასო ოთახის მსგავსია, იქაც დგას მასწავლებლის მაგიდა და მერხები. თუმცა მასწავლებელი ამ მაგიდას მხოლოდ ნივთების დასაწყობად იყენებს, რადგან აქტიურია და ჩართულია საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელი მუშაობს ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც, ასევე წყვილებში. გაკვეთილზე აქტიურად იყენებენ ელექტრონულ ტესტებსაც – პროექტორზე გამოდის მაგალითი ან სხვა აქტივობა და მოსწავლემ პერსონალური კომპიუტერით უნდა უპასუხოს ან ამოხსნას მაგალითი. ეს გარკვეულწილად შემაჯამებელ გაკვეთილად მიიჩნევა და ხდება მოსწავლის შეფასება. ჯგუფური მუშაობა, თითქმის, ყველა გაკვეთილზე ვნახე, ხელოვნების გაკვეთილის გარდა. ხელოვნების მასწავლებელმა გვითხრა, რომ ბავშვები იმდენად ხშირად მოიხმარენ ტექნოლოგიებს, რომ მირჩევნია ფანქრით და ინდივიდუალურად იმუშაონო. ასეთი დავალება მისცათ (თუმცა, თავიდან, ჩვენ ამას ცოტა სკეპტიკურად შევხედეთ) – დაფაზე დაიხატა ძაღლი, შემდეგ დაიშტრიხა, თითოეული შტრიხი ისე უნდა გაეფერადებინათ, რომ არ გადასულიყვნენ სხვა შტრიხში და, ამავდროულად, ძაღლის გასაფერადებლად უნდა შეერჩიათ თბილი, ხოლო გარემოს გასაფერადებლად – ცივი ფერები. საბოლოო ჯამში, ძალიან შთამბეჭდავი აქტივობა აღმოჩნდა – ნაწილს გაუჭირდა შტრიხებში ჩატევა, ნაწილმა კი კარგად შეძლო დავალების შესრულება, და რაც მთავარია, ისინი ამ დროს ინდივიდუალურად მუშაობდნენ. ზოგადად, ყველა გაკვეთილზე, რომელსაც დავესწარით, ჯგუფურ მუშაობას, მინიმუმ, 10 წუთი მაინც ეთმობოდა.

კლასში მერხები ორ ან სამ წყვილადაა განლაგებული. თუმცა მე მაინცდამაინც არ მხიბლავს ასეთი განლაგება. ჩემს კლასში სულ სხვა სისტემით მაქვს მერხები განლაგებული. წარმოიდგინეთ რუსული ალფავიტის „П" ფორმა, რომელიც, დაახლოებით ნახევარწრეს ქმნის. არ მიყვარს, როცა ბავშვები ერთმანეთის კეფას უყურებენ, ჩემთვის უფრო მისაღებია, როცა ყველა ერთმანეთს უყურებს და ჩემთან პირდაპირი მზერითი კავშირი აქვთ. ასეთი განლაგებით თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად მისვლის საშუალება მაქვს. ამ დროს ისიც გამორიცხულია, რომ ვიღაც უფრო ახლოს ზის მასწავლებელთან ან ვიღაც შორს, ვიღაც პირველ მერხზე ან ბოლო მერხზე.

თავისუფალია სკოლა, თავისუფალია მასწავლებელი და თავისუფალია მოსწავლე

ზოგადად, ვიზიტის მიზანი იყო დავსწრებოდით გაკვეთილებს და დავკვირვებოდით სასწავლო გეგმას, როგორ ადგენენ კურიკულუმს. რა თქმა უნდა, სასწავლო გეგმა აქვთ, მხოლოდ, ჩვენგან განსხვავებით, ყოველდღიურად გაკვეთილის გეგმის წერა იქ აუცილებელი არ არის. რასაკვირველია გაკვეთილის მონახაზი არსებობს, მაგრამ, ესტონელ მასწავლებელს, მეტი თავისუფლება აქვს უფრო შემოქმედებითად მიუდგეს სწავლების პროცესს. მაგალითად, გვითხრეს, რომ შეუძლიათ წელს გასავლელი პროგრამიდან ერთი თემა აიღონ და ამაზე იმუშაონ. ამით ის ძირითადი მიდგომა დავინახე, რაც ესტონურ სკოლას აქვს – ერთი, მაგრამ ხარისხიანი და არა ბევრი და შედარებით ნაკლები ხარისხი. მაგალითად, ჩვენთან ვაჟა და გურამიშვილი წლის ბოლოს ისწავლება და ძლივს მივდივართ ხოლმე იქამდე. იქ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მარტო „ილიაზე" იმუშაონ – ერთი თემა აიღოს მასწავლებელმა, ამაზე რამდენიმე პედაგოგი შეჯერდეს და იმუშაოს.

რატომ არ ირეკება გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ზარი

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც თვალში მომხვდა (თუმცა, როცა უკან დაბრუნებისას კოლეგები შთაბეჭდილებებს განვიხილავდით, სხვა სკოლებში ასე არ ყო-

ესტონური გამოცდილება

ფილა), სკოლაში მხოლოდ გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი „ზარი“ ირეკებოდა, ისმოდა ნაწყვეტი რომელიმე მელოდიიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაკვეთილი დაიწყო, მაგრამ გაკვეთილის დასრულებას არც მელოდია და არც ზარი არ ამცნობდათ, რადგან მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, რა მომენტში დაასრულოს გაკვეთილი. რასაკვირველია, ეს უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს, მათთვისაც ორიენტირი 45 წუთზეა აგებული, რომელსაც შინაგანად ისედაც გრძნობენ. ამას არც არავინ აპროტესტებს და არც არავინ იხედება საათის ისრებზე, ყველა მშვიდად ელოდება მასწავლებლის გადაწყვეტილებას, სად შეწყვეტს აქტივობას ან თემას, რომელიც შეიძლება ვერ ჩაატია გაკვეთილისთვის განკუთვნილ დროში (ჩვენთან ეს მომენტი შეიძლება ხარვეზად – მინუსად ჩაგითვალონ, რატომ ვერ მოასწარი ზუსტად 45 წუთში დაგეგმილი აქტივობების დასრულება, ან თემის ბოლომდე ამოწურვა). ერთ-ერთი გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელს 15 წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ 21-ე მოსწავლის კომპიუტერი ჩაერთო, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაზე სერიოზულად ვიღელვეთ. მან კი გაკვეთილის დასრულებისას ძალიან მშვიდად გვითხრა, რომ ვერ მოასწრო კიდევ ერთი დაგეგმილი აქტივობის განხორციელება, რადგან ტექნოლოგიებმა პრობლემა შეუქმნა – Wi-Fi-ის ვერ დაუკავშირდა, მაგრამ არა უშავს, რადგან ეს მასზე არ იყო დამოკიდებული, იცის, რომ ეს რისკია და მზადაა ასეთი რისკებისთვის, ამიტომაც მისი გაკვეთილი ამ ჯერზე, ერთი აქტივობით შემოიფარგლა, მთავარია, რასაც გავაკეთებთ ხარისხიანი იყოს.

„უსტატუსო“ პროფესიონალები

იქ მასწავლებლებს სტატუსები არ აქვთ, მთავარია სკოლამ მისი პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენოს ხარისხის უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა, რომელიც ჩვენთან იმყოფებოდა პროექტის ფარგლებში, გვითხრა, მაქსიმალურად ვცდილობ სკოლაში მომუშავე ადამიანების ცოდნა და შესაძლებლობები არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესზე, არამედ სხვა მიმართულებით და სწორად გამოვიყენოო. შეიძლება მასწავლებელმა მხოლოდ 10 საათი აიღოს, სამაგიეროდ, იმის გაკეთებაში დამეხმაროს, რაც ჩემზე უკეთესად იცის. ასეთ შემთხვევაში მე მას მხოლოდ 10 საათის საფასურს კი არ ვუხდი, არამედ მეტს, ამით ჩვენ ერთად ვაუმჯობესებთ სკოლის ხარისხს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ იმ თვითმმართველობის შედეგია, რომელიც ესტონურ სკოლებს აქვთ, მეტი თავისუფლება ამ მიმართულებითაც მკვეთრად გამოხატულია – ბიუჯეტსაც თავად განკარგავს და დირექტორს შეუძლია მასწავლებელს დაუწესოს ხელფასი არა მხოლოდ გაკვეთილების ჩატარებაში, არამედ სხვა საქმიანობაშიც, რომელსაც სკოლის სასიკეთოდ გააკეთებს. თუმცა, ხელფასით კმაყოფილი არც ისინი არიან, რასაკვირველია, ეს არ გვიკითხავს, მაგრამ თუნდაც იქიდანაც ჩანდა, რომ ამბობდნენ: აი, ფინეთში მასწავლებელს რა მაღალი ხელფასი აქვსო. ესტონელები მუდმივად ფინეთს ედრებიან, მათი სწორება ფინეთის განათლების სისტემაზეა.

მეთოდი და ინოვაცია, რომელიც უკვე დავნერგე

მათემატიკის გაკვეთილს დავესწარი. აქამდე მათემატიკა მაინც უფრო ციფრებთან ასოცირდებოდა – როგორც წერ, ისე აღიქვამ. მასწავლებელმა ერთი ასეთი საინტერესო აქტივობა ჩაატარა, რომელიც ციფრებთან ერთად დაკავშირებული იყო ანბანთან. კლასში დაარიგა ფურცლები, რომელზეც გაკვეთილზე მიცემული მაგალითი და მისი პასუხები ეწერა, ფურცლებს ქვეშ მიწერილი ჰქონდა რომელიმე ასო. პირობითად, „გ“ ასო იწყებდა და ამბობდა მაგალითს, რომლის პასუხი უნდა მოეძებნა და ეპოვა, რომელ ბავშვს ეჭირა. მოსწავლემ ერთდროულად უნდა გაიაზროს სწორი პასუხი და თვალი მიადევნოს, რომელ ასოს უჭირავს ის. ეს ხდება ზეპირად, მოსწავლეს ესმის და არ წერს – აქტივობა მთლიანად აგებულია ზეპირ აზროვნებაზე. ერთი შეხედვით მარტივი მეთოდი, რომელიც ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანთან, ერთდროულად ბევრ უნარს უვითარებს მოსწავლეს. ბავშვებს ხშირად უჭირთ ზეპირად წარმოიდგინონ და გიპასუხონ, მაგალითად, როგორ იწერება 95. ამ მეთოდის გამოყენებით გავიგე, რომელ მოსწავლეს შეუძლია უკეთ ზეპირად აზროვნება, აღმოვაჩინე, სად გვაქვს ჩავარდნა და, შესაბამისად, იმ მიმართულებით გავაგრძელებ მუშაობას.

ცოტა და ხარისხიანი

ეს არის ის მთავარი გზავნილი, რაც ესტონეთის განათლების სისტემიდან წამოვიღე. როგორც აქტიური ადამიანი, მუდმივ ფაციფუცში ვარ, იქიდან ჩამოსვლის მერე მივხვდი, რომ სჯობს ვიყო მშვიდი და ძალიან გაწონასწორებული, გავაკეთო ერთი და ხარისხიანი, თუნდაც ერთი სიტყვა ვასწავლო მთელი დღის განმავლობაში ბავშვს, სამაგიეროდ ისე, რომ არასოდეს დაავიწყდეს, ვიდრე ძალიან ბევრი ინფორმაცია მივაწოდო, საიდანაც შეიძლება არაფერი დაამახსოვრდეს. ამის გარდა, მკაფიოდ გამოხატული, რაც ესტონელი კოლეგებისგან ვისწავლე, ერთმანეთთან თანამშრომლობა და გაკვეთილების მრავალფეროვნებაა. არც ერთ შემთხვევაში გაკვეთილი მოსწავლისთვის მოსაწყენი არ უნდა გახდეს. ინდივიდუალურ მუშაობასთან ერთად, მეტი ჯგუფური მუშაობა, რაც ხშირად ხმაურს იწვევს, მაგრამ ეს საგაკვეთილო ხმაურია და ბავშვებისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო და სახალისო პროცესი.

სასწავლო პროცესისთვის „მოპარული“ დრო

ქართველი მასწავლებლის ჩვეული წუწუნი გამომივა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ სქემა ძალიან გვირთულებს ცხოვრებას და ბევრ დროს გვართმევს, უმჯობესია ეს დრო ისევ ბავშვებს და საგაკვეთილო პროცესს მოვახმაროთ. ესტონელი კოლეგებიც ამას ფიქრობენ. ასეთი რამ გვითხრეს: ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც მშობელი ყოველდღე ხედავს (ამას კონტროლს სასწავლო ნაწილის გამგე უწევს), ვალდებულება გვაქვს, მოსწავლის ნიშნის გასწვრივ დავწეროთ კომენტარი, სიტყვიერი განმარტება, რატომ დავწერეთ კონკრეტული ნიშანი. ჩვენ გვირჩევნია ამაზე დაიხარჯოს მასწავლებლის დრო და გააგებინოს მშობელს რაზე დასვა წერტილი, რა შეცდომა ან რა მიღწევა ჰქონდა მის შვილს, სიტყვიერად განუმარტოს, ვიდრე აკეთოს საქმე, რომელიც არაფრის მომცემია.

თავიდან რომ ვიწყებდე, აუცილებლად დავფიქრდებოდი

2009 წლიდან ვმუშაობ სკოლაში, მასწავლებლობა მარი ბროსეს ქართულ-ფრანგულ კოლეჯში დავიწყე. სკოლაში მუშაობა მაგისტრატურაზე სწავლის დროს გადავწყვიტე, რადგან ვიფიქრე, ყველაზე კარგად სწავლას სკოლაში მუშაობის რეჟიმს შევუთავსებდი. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლობა ძალიან დიდ დროს და პასუხისმგებლობას მოითხოვს, დოქტორანტურაში სტატუსიც კი შევიჩერე, რადგან ერთდროულად ამდენი რამის კეთებას ვეღარ ვახერხებ. 2012 წელს გამიჩნდა სურვილი, ჩამებარებინა სასერტიფიკაციო გამოცდები, რათა საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, ჩემი საქმიანობით ხომ არ ვვნებ ვინმეს, ბავშვებთან მუშაობა უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს. 20 წლის ასაკში ეს გადაწყვეტილება ძალიან იოლად მივიღე. ახლა თავიდან რომ ვიწყებდე, აუცილებლად დავფიქრდებოდი, რა რთულ საქმეს ვეჭიდები.

ჩავაბარე საგნობრივი გამოცდა დაწყებითების სამივე საგანში და პროფესიულ უნარებში. ჩემს თავს კიდევ ერთხელ დავუდასტურე, რომ მასწავლებლობა შემიძლია. დღევანდელი გადასახედიდან ძალიან მომწონს მასწავლებლობა, ეს არის საქმე, რომელიც მომავალშიც მინდა ვაკეთო. ხშირად, როცა ხუმრობით მეკითხებიან, დირექტორობა არ გინდაო? კატეგორიულად ვპასუხობ, რომ არა. იმიტომ, რომ ვერ წარმომიდგენია ცხოვრება ბავშვებთან ყოველდღიური საგაკვეთილო თუ არაფორმალური ურთიერთობების გარეშე. ვერასოდეს ვიმუშავებდი მაგალითად ბანკში ოპერატორად, რადგან შემოქმედებითობის და იმ აქტიური ცხოვრების გარეშე, რასაც სკოლა მაძლევს, სამსახური ინტერესს კარგავს. მასწავლებლობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან შეიძლება გამაბრაზონ და გამანაწყენონ. ერთხელ ჩემმა სადამრიგებლო კლასმა ერთ-ერთი მასწავლებელი ძალიან გაანაწყენა, გავბრაზდი და ჩავშალე აქტივობა, რომელიც შოკოლადით უნდა განეხორციელებინათ. შოკოლადის ფილა ნაგვის ყუთში ჩავაგდე და გამოვაცხადე: – დღეს შოკოლადს არ შეჭამთ არც თქვენ და არც მე, რადგან ამას არ ვიმსახურებთ! ეს ისეთი შოკი იყო, ალბათ, აღარასოდეს იტყვიან იმ სიტყვას, რომლის გამოც მასწავლებელი ასე გაანაწყენეს. მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა და 12-საათიანი სამუშაო რეჟიმისა, ვფიქრობ, ამ პროფესიისთვის გარჯა ნამდვილად ღირს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ახალი ამბები

თანამშრომლობის მემორანდუმი

განათლებისა და მეცნიერების და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების, პირობით ვადამდე გათავისუფლებულებისა და პირობით მსჯავრდებულების რეაბილიტაცია/რესოციალიზაციისათვის პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება. მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

„ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა. სწორედ ამიტომ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების შეძენა, რაც მათ გათავისუფლების შემდეგ სამუშაოს მოძიებაში დაეხმარება და შემდგომში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკსაც შეამცირებს. ამიტომ მოვაწერეთ დღეს ხელი მემორანდუმს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.“ – განაცხადა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილემ **ზვიად მიხანაშვილმა**. მას მიაჩნია, რომ მემორანდუმის ფარგლებში კიდევ უფრო გაღრმავდება თანამშრომლობა ამ ორ უწყებას შორის, რაც აუცილებლად პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყოფილ მსჯავრდებულთა, ბრალდებულთა, პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამას: *„სახელმწიფო ზრუნავს ამ ადამიანებზე და ზრუნავს სწორედ განათლების მიწოდების გზით. მოკლევადიანი პროფესიული კურსები შემუშავებულია სწორედ იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მათ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში. ამ კუთხით, ჩვენ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან 4-წლიანი თანამშრომლობის გამოცდილება გვაქვს, რომლის ფარგლებში გადამზადებულია, დაახლოებით, 2500-ზე მეტი პირი. აღნიშნული პროგრამით, ვფიქრობთ, გავაორმაგებთ ჩვენს ძალისხმევას ამ მიმართულებით.“*

მსჯავრდებულთათვის პროფესიული გადამზადება 2014 წლიდანაა ხელმისაწვდომი. ოთხი წლის განმავლობაში, 41 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა (ტრენინგ-კურსი, მოდული) 2582-მა მსჯავრდებულმა გაიარა. გადამზადების მსურველთა დინამიკა ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად, პროექტი გრძელდება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტროსთან ერთად, პროფესიული მომზადების პროგრამების ხელმისაწვდომობით, უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების, პირობით ვადამდე გათავისუფლებულებისა და პირობით მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობას. უწყებებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი ხუთი წლის ვადით იმოქმედებს.

მომავალი პოლიტიკოსების სკოლა

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის“ წარმომადგენლებსა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამის „მომავალი პოლიტიკოსების სკოლა 16-21 წლამდე გოგონებისათვის“ მონაწილეებს შეხვდა. ესაუბრა ქალთა ჩართულობის შესახებ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და გააცნო, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მეტი ახალგაზრდა პროფესიონალი ქალბატონი იყოს უფრო აქტიურ და წამყვან პოზიციებზე როგორც პოლიტიკაში, ასევე ბიზნესში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიის მანძილზე არაერთი წარმატებული ქალი გვყავდა როგორც პოლიტიკაში, ისე სახელმწიფო ხელმძღვანელთა პოზიციებზე და დღესაც არაერთი წარმატებული ქალბატონია ეკონომიკასა და ბიზნესში, საქართველოს პარლამენტში პარლამენტარი ქალების რაოდენობა მაინც მხოლოდ 15%-ია, მუნიციპალიტეტების დონეზე კიდევ უფრო დაბალია ჩართულობა – 11-12%. კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია იმის გათვალისწინებით, რომ განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, საბავშვო ბაღიდან დაწყებული უნივერსიტეტით დამთავრებული, თანაბრად გვაქვს გოგონებისა და ბიჭების ჩართულობა და, უფრო ხშირად, გოგონები უკეთესი აკადემიური წარმატებითაც გამოირჩევიან.

როგორც მან აღნიშნა, არის სექტორები, სადაც მართალია უფრო მეტი ქალია დასაქმებული, მაგრამ წამყვან პოზიციებზე არ არიან იმ სასურველ დონეზე, რომელიც ევროკავშირის, სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითზეა რეკომენდებული – ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისათვის საშუალოდ ითვლება, რომ ქალთა ჩართულობა პოლიტიკასა და ბიზნესში, სულ მცირე, 30% უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა ამ მაჩვენებლისაგან.

მარიამ ჯაშმა ახალგაზრდებს გააცნო ის ღონისძიებები, რომლებიც ქვეყანაში ვითარების გამოსასწორებლად ხორციელდება – მუშავდება საკანონმდებლო ინიციატივები, პარლამენტში მრავალი წელია მუშაობს გენდერული საბჭო, სავარაუდოდ, წელს უკვე რეალურად გადაიდგმება ნაბიჯები კვოტების მიმართულებითაც. მისი შეფასებით, კვოტების საკითხი დროებითი, მაგრამ აუცილებელი ღონისძიებაა იმისათვის, რომ უფრო მეტი ქალბატონი ჩაერთოს პოლიტიკაში. კვოტირების საკითხის დასმა, როგორც დროებითი ზომა, რეკომენდებულია გაეროსა და ევენევის კონვენციებით. მისივე თქმით, მეორე, დიდი მნიშვნელობის მიმართულებაა ქალთა გააქტიურება ბიზნესში და მათი ეკონომიკური ხელშეწყობა. *„ყველაზე დიდი წარმატება ქალისთვის, მისი დამოუკიდებლობისა და პიროვნული რეალიზაციისთვის არის ეკონომიკური აქტივობა და პროფესიონალური წარმატება. ამასთანავე, ძლიერი ქალი არის ძლიერი ოჯახის საფუძველი და ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალური პროგრამებით ხელი შევუწყოთ ქალთა მეწარმეობას, ანუ მცირე ბიზნესის დაწყებას.“*

სტუმრებმა, თავის მხრივ, მარიამ ჯაშს პროგრამის „მომავალი პოლიტიკოსების სკოლა 16-21 წლამდე გოგონებისათვის“ ძირითადი მიზნები და ამოცანები გააცნეს. მიაჩნიათ, რომ ამ პროგრამის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ქალთა ხმა ქართულ პოლიტიკაში კიდევ უფრო აქტუალური გახდეს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, ახალგაზრდები სხვადასხვა საკითხით დაინტერესდნენ, კომიტეტის თავმჯდომარისგან მათ ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

„ჩვენი პასუხისმგებლობა ნამდვილად არის ამ ქვეყნის გაძლიერებაზე ზრუნვა, და რაც უფრო ძლიერი იქნება საქართველო, ბევრად უფრო მიმზიდველი იქნება ყველა ქვეყნისთვის. ნამდვილად საამაყო ისტორიის, ტრადიციების, მსოფლმხედველობის ქვეყანა გვაქვს და ჩვენ ყველამ ჩვენ-ჩვენი პატარა წვლილი უნდა შევიტანოთ მის აღორძინებაში,“ – განაცხადა მარიამ ჯაშმა და ახალგაზრდებს ცხოვრებასა და კარიერულ წინსვლაში წარმატებები უსურვა.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სასწავლო პროექტები

11 ლარი

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.

სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასაგებად.

15 ლარი

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ₾

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აბიორგრაფიული პრობა ლიტერატურის მასწავლელისთვის



12 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ენის ტესტი და ანალიტიკური გზამკვლევი



6 ლარი

ბიოლოგია
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სოსრულიძე, ქ. მაღლაკაძე, დ. ნაზრარიშვილი



9 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდებისთვის
ნ. ახვლედიანი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ბურდულია



10 ლარი

ფიზიკა
სასტუდენტო გამოცდებისთვის
ქ. ფაღიშვილი, ზ. ბერაია

10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

„ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ეროვნული ექსპერიმენტი სკოლებისთვის



39.90 ~~49.90~~

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საგაზვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.